საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 18 ოქტომბერი. 2016 წ. №193 (8085), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

შემოდგომის ხუზეზ

„ოცნება“ „გათახსირებას“ გადავარჩინოთ!

2

...მე არ ვიცი, „დაარტყამს“ თუ არა „ოცნება“ „რუსთავი-2“-ს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ისე ველარ იპარპაშებს, ისე ველარ მოუწამლავს ხალხს სისხლს და გონებას, როგორც აქამდე. ასე გაგრძელება, უბრალოდ აღარ შეიძლება და ეს თვით რუსთავორელებმა იციან ყველაზე კარგად. ამიტომ იკბინება ასე მწარედ შემოდგომის ბუზი ნიკა გვარამია, და მთელი მისი საყვავეთი — ყვა, ყვა, ყვა!

პოლიტიკური ბრძოლის იარაღი



დისკრედიტაცია, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღი, ძალიან საშიშია მისივე მფლობელისთვისაც.

DISKREDITER

გეოპოლიტიკური „მანევრები“

რუსეთს გონებით ვერ განსჯი...

თეოდორ ტიუტჩევი.

როგორ დასცინის 6 პუტინი დასავლეთს

ხათუნა ქვრივიშვილი ამორძალად გარდაისახა



ჩვენებური უვიცები და საქართველოსთვის საზიანო დოკუმენტი

5

 დიტერ ბოდენი:

ყველაფერი უნდა გაკეთდეს ევროპასთან აფხაზეთის უფრო ცოცხალი ურთიერთობების აღსადგენად

შოთა ზოიძე

შემოძახილი აჭარიდან:

საფლავში ბორგავს ილია, ქართველებს კლავენ ბუზივით, თბილისი გაძეძგილია, ვრანტიჭამია ბოზებით.

7



„ოცნება“ „გათახსირება“ გადავარჩინოთ!

ორი დღე ზეიმობდა თბილისი თავის დღეობას — თბილისობას. იყო — XIX და XX საუკუნეების იერსახის და ყოფის თეატრალიზებული აღდგენა, სიხალისე, ტურისტების მოზღვავება და აღტაცება...

ზეიმი გეოგრაფიულადაც გაფართოებული იყო — ლეღვთახევს, რიყეს, აღმაშენებლის რეკონსტრუირებული პროსპექტი დაემატა...

ამ დროს კი დავით ბაქრაძე დასავლეთ საქართველოში, კერძოდ იმერეთში, მეკობრეობდა მკვდარი სულების შესაგროვებლად და მოსახლეობას ბრძოლისკენ მოუწოდებდა. არა არჩევნების მეორე ტურში წარმატებისკენ, არამედ სწორედ ბრძოლისკენ, მტრის გარანტირებულად დაძლევისა და ყელის გამოჭრისკენ.

რატომ ასეთი ჟინი პოლიტიკური მეტოქის ხელჩართული ბრძოლით, ძალით დაძლევისა, მისი აუცილებლად ჩაწიხვლისა და მიწასთან გასწორებისა?! რატომ გვავიწყდება, რომ ის მართლა მტერი და დუშმანი კი არ არის, არამედ, ოდენ შენგან განსხვავებულად მოაზროვნე, შენი თანამოქალაქეა, რომელმაც დამაჯერებლად მოგიგო არჩევნებში, თანაც მოგიგო არა პირველად, უბრალოდ, მისი გამარჯვება ტრადიციული გახდა!

ეს, ჩემი აზრით, იმის შედეგია, რომ ჩვენ არ გვაქვს არჩევნების გამოცდილება, საბჭოთა წლებში როგორც წესი, ერთი პარტია ბატონობდა. სხვა, უბრალოდ, არ არსებობდა, ხოლო ისინი, რომლებიც იმ 70 წლის წინანდელი ახსოვდა ხალხს, მტრად, ანტიხალხურად, კიდევ უარესი, ჯაშუშურ ორგანიზაციებად იყო გამოცხადებული და ამ ხსოვნასაც უმკაცრესად შანთავდა უშიშროების სამსახური. დამოუკიდებლობის 25 წლის მანძილზე ვერ ვისწავლეთ 100-დან, 200-დან ერთის არჩევა, რადგან იმ 100-ის, 200-ის სხვათაგან გარჩევა თვით მათ ლიდერებს უჭირთ, იმდენად გვანან ერთმანეთს შინაარსითა და ლამის სახელწოდებითაც კი. ამიტომ არიან ჯერჯერობით სხვაგვარად მოაზროვნენი „სამშობლოს მტრები“ და „მოღალატეები“.

მაგრამ, ეს დროებითი მოვლენაა: ვისწავლით, აბა რა იქნება და როცა უკან მოვიხედავთ, გაგვეცინება, რომ ერთ დროს თავს ვაკლავდით ერთმანეთს ვისისტობის გამო.

მაგრამ სიცილამდე და კისკისამდე, როგორც ჩანს, ჯერ შორია. ამიტომ კორცხელი თუ მარნეული აგვიფეთქდება ხოლმე, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც. ეს ჩვენი გოლგოთაა, ეს ჩვენი უბედურებაა.

როგორც იქნა წლევანდელი საპარლამენტო არჩევნების პირველი ტური გადავაგორეთ. ავად თუ კარგად, რაც მთავარია, ძირითადად, მშვიდობიანად. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“ — აღმატებულად, დამაჯერებლად.

წინ არჩევნების მეორე ტური გვაქვს. აქედანვე ილანდება, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ამ ტურის ბრძოლის ასპარეზად გადაქცევას ცდილობს. წაგებული პირველი ტურის შემდეგ იგი მთელ იმედს ამ მეორე ტურზე ამყარებს. ამიტომ სულს ამოიფერთხავს და ამ ამონაფერთხს სულ მსხვილ-მსხვილად თუ წვრილ-წვრილად ჩამოურიგებს ნაცნობს და უცნობს, ყველა სუბიექტს, ვინც არჩევნებში მონაწილეობდა და სასწაულად წააგო. თუმცა ისინი ისედაც მზად არიან, მხარი დაუჭირონ ნაცებს, ოღონდ როგორმე „ოცნება“ დაამარცხონ, დაუკბინონ, რამე ავნონ.

წამოყენებულია „რევოლუციური“, სამართლიანი, მთელი ქვეყნისთვის მომგებიანი წინადადება, რომელსაც უკვე ბევრი ჩასვრილ-ჩაოხრებული პარტია (ჯერ კიდევ გუშინ ნაცების ხსენებაზე გულისრევა რომ ეწყებოდა), ფილოსოფიურად, „ლოგიკურად“ ასაბუთებს, თუ რატომ არის უკეთესი მეორე ტურში ნაცების გამარჯვება ქვეყნისთვის და, რაც მთავარია, თვით „ოცნებისთვის“.

მისთვის დამღუპველი იქნება თუ მეორე ტურში ტოტალურად გაიმარჯვებს და საკონსტიტუციო უმრავლესობას მიაღწევსო. ამას დაძლევს და ყელი გამოეჭრება კიდეცო! ამით იგი კონტროლს დააწესებს პარლამენტზე, სასამართლოზე და სხვა ათას რამეზე, მათ შორის პრეზიდენტის არჩევითობაზეო.

ეს ბოლო არგუმენტი განსაკუთრებით ამღელვარებს ოპოზიციას, ვაითუ „ოცნებამ“ კანონი შეცვალოს და პრეზიდენტი არა საყოველთაო, არამედ პარლამენტის ასარჩევი გახდესო. ე. ი. არჩევნებში გამარჯვებული „ოცნება“ მთლად წამოგვაჯდება თავზეო. ასე კი მას... გარყვნის და გაათახსირებსო! ჰოდა, კბილებითა და ფრჩხილებით ვიბრძოლებთ მის გათახსირებისგან გადასარჩენადო. მათი ლოგიკით ახლა ის დროა, „ოცნება“ საქართველოს მოუწოდებდეს, არ მინდა, ძმებო, გათახსირება, არ მინდა გამარჯვება, ხმები ჩემს მეტოქეს მიეცით, უფრო უპრიანი იქნება, უფრო შეერგება, როგორც არათახსირსა და საიმედოსო.

მაგრამ რაღაც ვერ ვატყობ ასეთ განზრახვას „ოცნებას“, პირიქით საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებულია და ხელებსაც იკაპიწებს, როგორც მოსალოდნელი იყო.

მის გადარწმუნებაში განსაკუთრებით ისეთი „ალალი და უტყუარი“ კაცი იჭრის ვენებს, როგორიც მამუკა კაციტაძეა, წარმოგიდგენიათ, კაცი, რომელიც ლომივით იბრძოდა პარტიაში — „ბურჭულაძე — სახელმწიფო ხალხისთვის“ და ყველაფერი გააკეთა, რათა ის ბოლო ადგილზე გასულიყო, ხოლო პარტიის თავმჯდომარე პაატა ბურჭულაძე საბოლოოდ გაბითურებულიყო, ახლა უმაღლესი მოსაზრებით ხვლანჯავს გზებს „ოცნების“ წინააღმდეგ და თან გულში კმაყოფილი იღიმება — რა ეშმაკი და მოხერხებული ვარო, მტრობით კი არ ვიქმ ამ მტრობას, არამედ მეგობრული განზრახვითო.

მაგრამ კაციტაძის მოხერხებულობა რა სათქმელია. მისნაირი მოხერხებული დღეს ჩვენში კონა ათ შაურადაა — ანტიოცნებელთა ლამის მთელი სპექტრი.

საქმე ის არის, რომ ნაცები და მათი მუდმივი თუ დროებითი თანამგზავრები დღეს შიშით არიან გათანგულნი, რომ „ოცნება“ მეორე ტურშიც უდანაკარგოდ გაიმარჯვებს და ცხოვრება ადრინდელისგან განსხვავებით, ნასწავლი ჭკუის შესაბამისად, არაკოჰაბიტაციურად გაგრძელდება, ანუ, სავარაუდოდ, ბოლო მოეღება მათს კოჰაბიტაციურ მაძღარ და კმაყოფილ ყოფას.

ეს შიში შეუსვენებლად დასრიალებს ოპოზიციის ეზოყურეში და იქაურთა არსებობას გესლავს და ზაფრავს. ამიტომ ისროლა „ფორუმმა“ ლოზუნგი: „ყველანი გავერთიანდეთ“ „ოცნების“ წინააღმდეგ!

ეს შიში იყო ტანში რომ ჰქონდა გამჯდარი გიორგი გაბუნიას, პარასკევს თავის გადაცემაში მოწვეულ ყველა სტუმარს რომ გულგახეთქილი ეკითხებოდნენ, ბიძიებო, დეიდებო, როგორ ატყობთ, „ოცნება“ „რუსთავი-2“-ს დაარტყამს თუ არაო.

მე არ ვიცი, „დაარტყამს“ თუ არა „ოცნება“ „რუსთავი-2“-ს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ისე ველარ იპარპაშებს, ისე ველარ მოუწამლავს ხალხს სისხლს და გონებას, როგორც აქამდე. ასე გაგრძელება, უბრალოდ აღარ შეიძლება და ეს თვით რუსთავორელებმა იციან ყველაზე კარგად. ამიტომ იკბინება ასე მწარედ შემოდგომის ბუზი ნიკა გვარამია, და მთელი მისი საყვავეთი — ყვა, ყვა, ყვა!

ალეკო ასლანიშვილი

52-ე და 32-ე ბატალიონების უფლებამოსილების გადაბარების ცერემონიალი ავღანეთში

საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონი „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში ოფიციალურად ჩაერთო. V ქვეითი ბრიგადის 52-ე ბატალიონმა კი, სამშვიდობო მისია უკვე დაასრულა. უფლებამოსილების გადაცემის ცერემონიალი ავღანეთში, ბაგრამის საავიაციო ბაზაზე გაიმართა.

უფლებამოსილების გადაცემის ცერემონიალი საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავღანეთის სახელმწიფო ჰიმნებით დაიწყო. შეკრებილმა საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო მისიებში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ხსოვნას.

ცერემონიალს ავღანეთში საქართველოს უფროსი სამხედრო წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ალექსანდრე კიკნაძე და ბაგრამის საავიაციო ბაზის მეთაური, ამერიკის არმიის გენერალ-მაიორი ჯონ ტომპსონი დაესწრნენ. ღონისძიებაზე ასევე იმყოფებოდნენ, აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის საცეცხლე მხარდაჭერის ჯგუფისა და ტაქტიკური დაჯგუფება „ტაიგერის“ ხელმძღვანელობა, ავღანეთის ეროვნული არმიისა და ფარვანის პროვინციის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები.

ღონისძიების დასკვნით ნაწილში ქართველი და ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

აკრძალვები გუდაური-კობის მონაკვეთზე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, თოვლისა და ლიპყინულის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ადგილზე მობილიზებულია ყველა საჭირო ტექნიკა და გზის გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

„შნოს“ მართლა ჰქონია ხალხის დასაქმების შნო!

სამთავრობო პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ მონაწილეობით კომპანიამ „შნო“ არა მხოლოდ გაზარდა ასორტიმენტი, არამედ წარმოებაში ახალი თანამედროვე ტექნოლოგიები დანერგა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილმა შპს „შნოს“ საამქრო დაათვალიერა, სადაც ტრადიციული ხის ნაწარმის გარდა, თანამედროვე დაზგა-დანადგარებზე ლითონის ნაკეთობებსაც ამზადებენ. კერძოდ, რკინის კარების, შიდა კარის რკინის ჩარჩოების, პროფილების და სხვა ლითონის ნაკეთობის წარმოებას ახდენს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ შპს „შნო“ გარდა კარების, ასევე ხის და რკინის კომბინირებულ ავეჯს აწარმოებს.

მინისტრის მოადგილეს საწარმოში მეგზურობა კომპანიის დამფუძნებელმა და დირექტორმა გივი ნიორაძემ გაუწია. მისი განცხადებით, საწარმოს გაფართოებისას დამატებით 8 სამუშაო ადგილი შეიქმნა, ხოლო კომპანიაში ჯამურად 42 ადამიანია დასაქმებული. კომპანიის სამომავლო გეგმებს კი პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდა და ექსპორტზე გატანა წარმოადგენს. საწარმო ასევე დაათვალიერა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე ანი კვარაცხელიამ.

ქეთევან ბოჭორიშვილის განცხადებით, სამთავრობო პროგრამაში მონაწილეობამ საწარმოს წარმადობა და ასორტიმენტი გაზარდა, ასევე შექმნა ახალი სამუშაო ადგილები. მისი თქმით, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში 205 საწარმოს მხარდაჭერა მოხდა, შეიქმნა 10,000- ზე მეტი პირდაპირი სამუშაო ადგილი და 440 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა.

შპს „შნო“ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას მეწარმეობის განვითარების სააგენტო განახორციელებს, ხოლო სააგენტოს დახმარებით განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 340 000 ლარს შეადგენს.

ახალი ქართული ლექსიკონი

ფრანგული წარმოშობის და უკვე დიდი ხანია, მთელ დედამიწაზე ფრიად პატივდებული ეს ზმნა ვიღაცისთვის ძირის გამოთხრას, ავტორიტეტის შელახვას, ნდობის დაკარგვას ნიშნავს. აქედანვეა წარმოებული ტერმინი დისკრედიტებული. ამ ცნების არსის გამოსახატავად ქართულ ენას ერთობ მდიდარი რესურსი გააჩნია – სახელგატეხილი, ნდობადაკარგული, პატივაყრილი, შერცხვენილი, თავმოჭრილი, თავლაფდასხმული, ყელგამოჭრილი, გაბიაბრუებული, წყალშეყენებული, კუდამოძუებული...

ამ თვალსაზრისით, ფრანგულ-გერმანულ-ინგლისურ ენებთან შედარებით ქართულის აშკარა უპირატესობის მიუხედავად, თანამედროვე ქართული პოლიტიკური ელიტა ოპონენტის დასახასიათებლად უპირატესობას მაინც დისკრედიტებულს (უფრო ზუსტად, რუსული გრამატიკული ნორმების გავლენით – დისკრედიტირებულს) ანიჭებს. სამართლიანადაც: ჯერ ერთი, ვოკალური თვალსაზრისით, სად „დისკრედიტებული“ და სად „თავლაფდასხმული“ ან „კუდამოძუებული“; მეორეც – ჩვენ ხომ ევროპისკენ მივერეკებით; და რაც მთავარია – ევროპული ტერმინოლოგიისა და გრამატიკული ნორმების თუნდაც ყოვლად უაზრო გამოყენება ჩვენს მარად დამწყებ ექსპერტ-ანალიტიკოს-პოლიტიკოსებს არარსებული ცოდნის შარავანდედით მოსავს!

ასეა თუ ისე, ეს ტერმინი საქართველოში და დანარჩენ მსოფლიოშიც დღეს აც მეტისმეტად აქტუალურია (ჩემს ევროპულ ორიენტაციას რა ვუთხარი, თორემ, ხომ შემეძლო მეთქვა, „დიდ გასავალშია-მეთქი“).

სახელმწიფოთა შორის ურთიერთ ძირგამომთხრელი საქმიანობის კლასიკურ ნიმუშად, დისკრედიტაციის უზომო აყვავების ხანად შეგვიძლია მოვიხსენიოთ მეოცე საუკუნის დასაწყისში დაწყებული და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაასმაგებული ეგრეთ წოდებული „ცივი ომი“. ერთ მხარეს რუსეთის იმპერიის მემკვიდრე, რკინის უმტკიცეს გისოსებში ჩასმული უკიდეგანო „მსოფლიო სოციალისტური სისტემის“ ქვეყნები დიადი სსრკ-ის მეთაურობით და მეორე მხარეს „დასავლეთის სამყარო“ აშშ-ის მეთაურობით.

თავლაფდამსხმელთა შორის მტყუან-მართლის გარჩევას თვით ისტორიისთვისაც კი არავითარი აზრი და მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი შედეგია და იგი ასე გამოიყურება - „ცივ ომში“ დამარცხებული „მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობა“ და „დიადი საბჭოეთი“ აღარ არსებობენ. თუმცა, არსებობს მისი მემკვიდრე რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა, არსებობენ სოციალისტური თანამეგობრობის ყოფილი წევრი ქვეყნები, არსებობს ჩვენთვისაც სანუკვარი „დასავლური სამყარო“ და, ბუნებრივია, არსებობს ახალი „ცივი ომის“ რეალური საფრთხეც. ერთი სიტყვით, „ცივი (ანუ პროპაგანდისტული) ომი“ სახელმწიფოთა შორის და სახელმწიფოთა შიგნითაც არის თავის მართლება მოსალოდნელი „ცხელი ომის“ აუცილებლობის, მისი გარდუვალობის დასამტკიცებლად. უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ხალხის თვალში.

როგორც წესი, მისი უდიდებულესობა დისკრედიტაცია მთელი თავისი ახოვანებით, ყოვლად მოულოდნელი რაკურსებითა და მყრალი სიბინძურითაც პოლიტიკური დაპირისპირებების ჟამს, მაგალითად, ნებისმიერი დონის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას წარმოგვიდგება – თვით სამაგალითო დემოკრატიისა და პოლიტიკური კულტურის სავანის, ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტობის ერთი კანდიდატი, მანამდე უმწიკვლო და უსათნოესი ქალბატონი ჰილარი კლინტონი, თურმე, ადრე ჩადენილი დანაშაულებისათვის საპყრობილეს ვერ ასცდება; მეორეს, მილიარდერ დონალდ ტრამპს, კი სულ რაღაც ოცდაათი წლის წინათ თურმე ძალიან ჰყვარებია ფერხორციანი ქალების ინტიმურ ადგილებზე წაპოტინება.

მსოფლიო პოლიტიკაში მართლაც უნიკალური მოვლენის, იოსებ სტალინისთვის ლაფის შესხმა საბჭოეთში მისი გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ დაიწყო და დღემდე გრძელდება. მათ შორის, მის მშობელ ქვეყანაშიც, საქართველოში. გთხოვთ, სწორად გამიგოთ – ვლაპარაკობ თავზეხელაღებულ ლანძღვა-გინებაზე და არა მისი მოღვაწეობის შეფასებაზე. მეოცე საუკუნის მეორე დიდი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, კაცი, ვისაც უნიკალური დამსახურება მიუძღვის მსოფლიო ისტორიის წინაშე, ედუარდ შევარდნაძე თანამედროვეთაგან (თავისი გაზრდილებისგანაც!) საფლავში შეგინებული და თავლაფდასხმული ჩავიდა.

ოპონენტის სრული დისკრედიტაციის დაუძლეველმა სურვილმა თანამედროვე ქართული პოლიტიკიდან ნაცებთან ერთად სხვა პარტიებიც გარიყა. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მხოლოდ ოპონენტის სახელის გატეხვაზე აგებულმა კამპანიამ საბოლოოდ პარტიებში დაპირისპირება-დაშლის შეუქცევადი პროცესი გამოიწვია. თვით ნაცმოძრაობაც კი იძულებული გახდა, უარი ეთქვა თავისი ბელადის მითითებების შესრულებაზე, რითაც მიშა სააკაშვილი, ფაქტობრივად, გარიყა ქართული პოლიტიკიდან და ამით სათავე დაუდო აქამდე „ერთ დამრტყმელ მუშტად შეკრული, მონოლითური პარტიის“ დაშლის შეუქცევად პროცესს.

ბუნებრივია, ვერც ერთს და ვერც მეორეს მემკვიდრეთა თუ თანამედროვეთა უმადურობა ვერაფერს დააკლებს. ეს დიდი ადამიანების მაგინებლებმაც შესანიშნავად იციან, მაგრამ ასეთია პოლიტიკაში საკუთარი უჩინო პერსონების დამკვიდრების თვის ბრძოლის „ურყევი“ კანონი – იოსებ ჯუღაშვილი ცუდია, ეს იგი მე, ნიკიტა ხრუშჩოვი კარგი ვარ! ედუარდ შევარდნაძე ცუდია, ესე იგი მე, მიშა სააკაშვილი კარგი ვარ!

დაუნდობელი ურთიერთგაბიაბრუების, პატივისა და ღირსების მასობრივად ფეხქვეშ გათელვისა და საკუთარი ხელით საკუთარი ყელის გამოჭრის ნიმუშად საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანია უთუოდ გამოდგება.

წინა, 2012 წლის არჩევნებში დამარცხებული, გზამოჭრილი და თავგზაარეული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ქმედებების გამართლება არა, მაგრამ ახსნა სავსებით შესაძლებელია – არჩევნებში დამარცხება მისთვის პოლიტიკიდან სამუდამოდ გარიყვის, საზოგადოებისა და ხელისუფლების მხრიდან ფიზიკური ანგარიშსწორების საფრთხესაც შეიცავს. ამიტომ იგი ჩვენი, ამომრჩევლების ნათელი მომავლის გარდა, თავის გადასარჩენად იბრძვის. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკმაო წარმატებითაც. ამ წარმატების მოსაპოვებლად მისთვის ყველა გზა მისაღებია – სიცრუე, დემაგოგია, შანტაჟი, პროვოკაცია, მოსყიდვა, შეურაცხყოფა, ამბოხებების იმიტაცია, მოვლენათა თვით რევოლუციური განვითარებაც კი. მისი მთავარი სამიზნე, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილია. კაცი, ვისაც უნიკალური დამსახურება მიუძღვის ერისა და სამშობლოს წინაშე; ვის სახელსაც 2011 წლამდე (მის პოლიტიკაში გამოჩენამდე) ნაცბოსები მოწიწებით წარმოთქვამდნენ, მისი ჯიბიდან ფულის მიღებას არ უარობდნენ და ყველა კაპრიზს უსიტყვოდ უსრულებდნენ.

ნაცების თვალში ახლა ეს კაცი, ჩვეულებრივი ფულის ტომარაა, კრემლის შემოგზავნილი აგენტია, რუსი ოლიგარქია, საქართველოს დამაქცევარია, ვიღაც „ჭორვილელი ხიხოა“...

თავად ის ფაქტი, რომ ნაცმოძრაობის (და სხვა პარტიებისა თუ პერსონების) დაუნდობელი განქიქების ობიექტი პოლიტიკიდან ოფიციალურად დაშორებული პერსონაა, შემთხვევითი სულაც არ არის. ამით ოპონენტები ხაზს უსვამენ, რომ მმართველ პარტიაშიც და ხელისუფლებაშიც ბიძინა ივანიშვილის გარდა ყველა დანარჩენი არარაობაა. მთავარი ის კი არ არის, რა უპირატესობა მაქვს მე, ნაცმოძრაობას მმართველ „ქართულ ოცნებასთან“, მთავარია, რომ „პინგვინების მოყვარული ვიღაც ჭორვილელი“ ქვეყანას ღუპავს!

ასეთი მიდგომის აბსურდულობა სახეზეა – ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში ოციოდე დეპუტატითაა წარმოდგენელი, მის ფეხის ხმას აყოლილ სხვა პარტიებს კი პარლამენტში შესასვლელად უკეთესი დროების ლოდინი მოუწევთ.

ვერ ვიტყვი, რომ ეს კარგია ქვეყნისა და, საერთოდ, ქართული პოლიტიკისთვის, დემოკრატიზაციის პროცესისთვის, მაგრამ ასეთია მწარე რეალობა – ოპონენტის სრული დისკრედიტაციის დაუძლეველმა სურვილმა თანამედროვე ქართული პოლიტიკიდან ნაცებთან ერთად სხვა პარტიებიც გარიყა. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მხოლოდ ოპონენტის სახელის გატეხვაზე აგებულმა კამპანიამ საბოლოოდ პარტიებში დაპირისპირება-დაშლის შეუქცევადი პროცესი გამოიწვია. თვით ნაცმოძრაობაც კი იძულებული გახდა, უარი ეთქვა თავისი ბელადის მითითებების შესრულებაზე, რითაც მიშა სააკაშვილი, ფაქტობრივად, გარიყა ქართული პოლიტიკიდან და ამით სათავე დაუდო აქამდე „ერთ დამრტყმელ მუშტად შეკრული, მონოლითური პარტიის“ დაშლის შეუქცევად პროცესს.

არჩევნებისათვის სახელდახელოდ შექმნილმა პოლიტიკურმა კოალიციამ, „სახელმწიფო ხალხისათვის“, ნაცმოძრაობის დისკრედიტაციული არსენალის მთლიანად და უკრიტიკოდ გადაღება გადაწყვიტა და დიდი რიხით დაწყებული თავისი ხანმოკლე პოლიტიკური მოღვაწეობა სრული კრახით დაამთავრა. ამავე მიზეზით, უსახელოდ დაამთავრა თავისი მოღვაწეობა დიდმა ლეიბორისტმა შალვა ნათელაშვილმაც. ნაწილობრივ მაინც, „ოცნების“ დისკრედიტაციის ნაცური მეთოდების კოპირება უნდა იყოს „რესპუბლიკელების“, ირაკლი ალასანიასა და ნინო ბურჯანაძის სიმპათიური პარტიების წარუმატებლობის მიზეზიც.



თეიმურაზ ქორიძე

არჩევნების მეორე ტური 30 ოქტომბერს გაიმართება

8 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების მეორე ტურები 50 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 30 ოქტომბერს გაიმართება. ამის შესახებ ცესკო განცხადებას ავრცელებს.

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და არჩევნებში ჩართული მხარეების ინფორმირების მიზნით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) განსაზღვრა მეორე ტურების და განმეორებითი კენჭისყრის შესაძლო თარიღები.

8 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების მეორე ტურები 50 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 30 ოქტომბერს გაიმართება.

რაც შეეხება განმეორებით კენჭისყრას, 22 ოქტომბერს ჩატარდება. №36 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №36.22.48 საარჩევნო უბანზე (მარნეული) გაიმართება პარლამენტის მაჟორიტარული არჩევნები, ხოლო №66 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №66.67.38, №66.67.79 და №66.67.108 საარჩევნო უბნებზე (ზუგდიდი) – როგორც პარლამენტის მაჟორიტარული, ისე გამგებლის არჩევნები.

ცესკო სამართლებრივ აქტებს გამოსცემს შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ“, – აღნიშნულია განცხადებაში.

„ქართულ ოცნებაში“ პრემიერს პარლამენტის თავმჯდომარედ არ მოიაზრებენ

გიორგი კვირიკაშვილი საუკეთესო პრემიერია და მისი შემცვლელის ძებნა დღის წესრიგში არ დგას,– განაცხადა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე გიორგი კვირიკაშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე.

„ის არის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც საუკეთესო სტარტი აიღო და გუნდის გაძღოლა წარმატებით დაიწყო. დღის წესრიგში ახალი პრემიერ-მინისტრის ძებნა არ გვაქვს. ჩვენთვის გიორგი კვირიკაშვილი ის საუკეთესო პრემიერია, რომელსაც შეუძლია გუნდის და მთავრობის ხელმძღვანელობა დღევანდელი გამოწვევების გათვალისწინებით იტვირთოს“, – თქვა ბესელიამ და დასძინა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურაზე მსჯელობა მეორე ტურის შემდეგ გაიმართება.

რასაც მიშა ამბობდა, იმას ნელ-ნელა ახორციელებს

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი გივი თარგამაძის ავტომანქანის აფეთქების უკან მიხეილ სააკაშვილის ინტერესებს ხედავს და აცხადებს, რომ დაპირისპირების სცენარი სწორედ სააკაშვილმა შექმნა და არ არის გამორიცხული, ეს აფეთქებაც ამ სცენარის ნაწილი იყოს. ვოლსკი ამბობს, რომ სააკაშვილს ამაზე არაერთხელ უსაუბრია სხვადასხვა გამოცემებთან:

„სცენარში ვგულისხმობ იმას, რასაც ღია და ფარული ჩანაწერებით საუბრობენ სააკაშვილი და მისი მოკავშირეები თუ თანაგუნდელები, რასაც ჰქვია დამხობა, არეულობა, კრიზისი შექმნა, მკვლელობების გახშირება, ასეულობით მკვლელობა მოხდებაო – ასე ამბობდა სააკაშვილი „ფორბსთან“ ინტერვიუში, რომელიც მრავალგზის იყო ტირაჟირებული „რუსთავი-2“-ის მიერ. ჩამოიშლება ბიუჯეტი, დაინგრევა ეკონომიკა და ჩვენ ამ დროით უნდა ვისარგებლოთ და არ უნდა მივიყვანოთ და დავამხოთ ბიძინა ივანიშვილის რეჟიმიო. შემდეგ იყო ჩანაწერები გვარამიასთან, ბოკერიასთან. განცხადებები ამასთან დაკავშირებით. მე ვფიქრობ, რომ ეს არის ის, რასაც ჰქვია საქართველოში დაპირისპირებისა და კრიზისის სცენარი. ვფიქრობ, რომ ამ სცენარის ნაწილი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა გარკვეული ნაწილის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ „საარჩევნო კოდექსის“ დიდი ნაწილი ყოფილიყო არაკონსტიტუციურად აღირებული, შექმნილიყო პოლიტიკური კრიზისი. ვფიქრობ, ეს არის სცენარი. მე ამონაკრეფი გავაკეთე იმ ცნობებიდან და მასალებიდან, რაც ზედაპირზე დევს და ყველასთვის ცნობილია, მაგრამ არსებობს, ალბათ, უფრო დეტალურად გააზრებული ყველაფერი ის, რასაც მე სცენარი ვუწოდე და ვფიქრობ, ამის ნაწილია გივი თარგამაძის მანქანის აფეთქება“, – განაცხადა ვოლსკიმ.

პროპოკატორი ნაციონალი ლიდერები დიპლომატებს ატყუებენ!

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები დავით ბაქრაძე, გიგა ბოკერია, გიორგი კანდელაკი, საღომე სამადაშვილი, ელენე ხოშტარია და სერგი კაპანაძე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდნენ და ის დარღვევები გააცნეს, რომლებიც არჩევნების დღეს ხმის დათვლის პროცესში გამოიკვეთა.

„შეხვედრის ფარგლებში, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს ყველა ის პრობლემა გავაცანით, რომელიც არჩევნებამდე, არჩევნების დღეს და მას შემდეგ იყო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არ იყო სათანადოდ მომზადებული გაყალბების იმ ხარისხისთვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა არჩევნების დღეს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ის მეთოდი, რაც გამოიყენა ხელისუფლებამ საკუთარი ინტერესებისთვის, მივაწოდოთ საერთაშორისო თანამეგობრობას. ჩვენ გვაქვს მეორე ტური და მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მათთვის იყოს ცნობილი.“

ბარამიძე არჩევნების შემდეგ „კარტებს ხსნის“

კოალიციიდან „თავისუფალი დემოკრატების“ გასვლის შემდეგ კულუარულად მიმდინარეობდა საუბრები, რომ „ნაციონალური მოძრაობის“, „ეროვნული ფორუმის“, „რესპუბლიკელების“ და „თავისუფალი დემოკრატების“ გაერთიანებით პარლამენტში უმრავლესობა შეცვლილიყო – განცხადებას „ენმ“-ს ერთ-ერთი ლიდერი გია ბარამიძე აკეთებს.

„საშუალება ნამდვილად იყო იმის, რომ გვემსჯელა, რათა შექმნილიყო ახალი კონფიგურაცია პარლამენტში. ამის თაობაზე საუბრები მაშინაც იყო, მათ შორის პრესითაც, რომ ივანიშვილი ჩამოშორებულიყო ხელისუფლებას და შესაძლებლობა ყოფილიყო პარლამენტში ვითარების ხავერდოვნად შეცვლის. ამის თაობაზე მსჯელობაც იყო, მაგრამ საბოლოოდ თანხმობამდე ვერ მივედით და ეს უკვე ვისი ბრალი იყო, როგორ იყო, სხვა თემაა, მაგრამ ერთ-ერთი, ყოველ შემთხვევაში ამ მიმართულებით ვინც არ დათანხმდა, იყვნენ „რესპუბლიკელები“. ოფიციალური კონსულტაციები არ მიმდინარეობდა, მაგრამ ამის საშუალება იყო. კულუარებში იყო საუბრები სხვადასხვა დეპუტატს შორის. ეს ფაქტია, მაგრამ ოფიციალური კონსულტაციები არ გახსნილა, იმიტომ, რომ არ იყო საკმარისი მზაობა ამასთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ ამის შანსი იყო. სამწუხაროდ, ეს შანსი ხელიდან იქნა გაშვებული“, – განაცხადა ბარამიძემ.

„ეროვნული ფორუმი“ ნაციონალებთან მოლაპარაკებებს უარყოფს

„ეროვნული ფორუმის“ ლიდერი კახა შარტავა უარყოფს გია ბარამიძის გავრცელებულ ინფორმაციას და აცხადებს, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მოლაპარაკებებს ადგილი არ ჰქონია.

„არანაირ მოლაპარაკებებს, არც მაშინ, როცა კოალიციაში ვიყავით და არც მას შემდეგ, რაც კოალიცია დავტოვეთ, ადგილი არ ჰქონია და თუ ვინმე ამ მოლაპარაკებებში არ განიხილება, ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“. როგორც ჩანს, ჩვენმა უწყინარმა წინადადებამ, რომელიც არც თუ ისე უწინარი აღმოჩნდა, ერთგვარი ჩოჩქოლი გამოიწვია. თუ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მეორე ტურისთვის რაღაც წინაპირობის შექმნას ცდილობენ, ტყუილად ირჯებიან „ეროვნული ფორუმის“ მისამართით. შეგახსენებთ, რომ ჩვენი წინადადება ეხებოდა არა პარტიებთან მოლაპარაკებებს, არამედ ცალკეულ პიროვნებებთან და ადამიანებთან, რომლებიც ფიქრობენ, რომ ერთობლივად რაიმე ახალი და მძლავრია გასაკეთებელი. იმ ადამიანებს ვგულისხმობ, ვინც ცალ-ცალკე ვაშენებდით პარტიებს და ამ პარტიების შედგებიდან გამომდინარე შეიძლება, ერთად დავიწყოთ საუბარი ახალ, გრძელვადიან გაერთიანებაზე, რომელსაც შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, რომლებიც აცხადებენ, რომ იყო ასეთი მოლაპარაკებები ჩვენთან, ძალიან შორს არიან რეალობისგან“, – აცხადებს „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი კახაბერ შარტავა.

ნინო ბურჯანაძე: არც „ქართული ოცნება“ და არც „ნაციონალური მოძრაობა“!

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე არჩევნების მეორე ტურს ემიჯნება და არ გამორიცხავს, რომ ამომრჩეველს მეორე ტურში ბოიკოტისკენ მოუწოდოს. ბურჯანაძის განცხადებით, მმართველმა პარტიამ ყველაფერი გააკეთა, რათა ამომრჩეველს მხოლოდ ორს შორის გაეკეთებინა არჩევანი.

„ზუსტად იმიტომ გადაარჩინა „ნაციონალური მოძრაობა“ ბიძინა ივანიშვილმა,ზუსტად იმიტომ იყო გართული კოჰაბიტაციაში „ნაციონალურ მოძრაობასთან“, რომ დასმულიყო კითხვა და ადამიანები აღმოჩენილიყვნენ ასეთი არჩევანის წინაშე – „ქართული ოცნება“ თუ „ნაციონალური მოძრაობა“. როდესაც ჩვენ წინასაარჩევნო კამპანიას ვატარებდით, მქონდა ასეთი სლოგანი – არც „ქართული ოცნება“, არც „ნაციონალური მოძრაობა“, შემოხაზეთ მესამე-მეთქი. მესამე რომ შემოხაზულიყო, რა თქმა უნდა, ჩვენ უმრავლესობით ვერ მოვიდოდით, მაგრამ დღეს ქვეყანა არ იქნებოდა იმის საფრთხის წინაშე, რომ ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმი ჩამოყალიბდებოდა. დღესაც ვამბობ – არც „ქართული ოცნება“ და არც „ნაციონალური მოძრაობა“, – განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

26 მილიონი ლარის შემოწირულობები

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, 8 ივნისიდან ოქტომბრამდე პერიოდში **პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიღებული შემოწირულობის ანგარიშს აქვეყნებს.**

შემოწირულობის სახით ჯამში პარტიებმა და დამოუკიდებელმა კანდიდატებმა 26 008 857 ლარი მიიღეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, ყველაზე მეტი შემოწირულობა – 16 101 506 ლარი „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო, შემდეგია პაატა ბურჭულაძის პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ – პარტიამ სამ თვეში 4 205 343 ლარის შემოწირულობა მიიღო.

1 098 207 ლარი შესწირეს „პატრიოტთა ალიანსს“, ხოლო 1 018 581 ლარი – „ნაციონალურ მოძრაობას“.

დანარჩენი პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ მიღებული შემოწირულობების ოდენობა ასეთია: ილია კოკაია - 559 000 ლარი, ვასილ ხანიშვილი - 428 000 ლარი, „თავისუფალი დემოკრატები“ – 421 690 ლარი, „სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველო“ - 372 841 ლარი, „ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩი“ – 231 363 ლარი, ცეზარ ჩოჩელი – 225 000 ლარი, „ქობულეთის მომავლის ფონდი“ – 186 955 ლარი, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ – 177 660 ლარი, ირაკლი შიხიაშვილი – 169 078 ლარი, „ეროვნული ფორუმი“ – 92 856 ლარი, „კასპის მომავლის ფონდი“ – 87 659 ლარი, საღომე ზურაბიშვილი – 79 525 ლარი, „ჩვენი სამშობლო“ – 67 400 ლარი, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 59 210 ლარი, „რესპუბლიკური პარტია“ 59 115 ლარი, ზურაბ ჩიქოვანი – 47 860 ლარი, არმაზ ახვლედიანი – 41 200 ლარი, ლაშა კანდელაკიშვილი – 34 500 ლარი, ირაკლი პეტრიაშვილი – 31 306 ლარი, ირაკლი ოქრუაშვილი – 21 800 ლარი, „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ – 19 800 ლარი, „საქართველოს მშვიდობისთვის“ – 19 223 ლარი, დავით ჭანტურია – 16 000 ლარი, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ 15 215 ლარი და ა.შ.

კრიმინალი

მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს, გლდანი-ნაძალადევის და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხარაგაულის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1960 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს, თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ღოღობერიძის ქუჩაზე, ეჭვიანობის ნიადაგზე, ნაცნობს – 1949 წელს დაბადებულ ა.ჯ.-ს ცივი იარაღით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ხარაგაულის რაიონში, სოფელ ბორითში, ცხელ კვალზე დაიკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲣᲕᲘᲪᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲘᲐᲜᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ Ე.Წ. ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ **სახელმწიფო დუმის თავდაცვის კომიტეტმა ოკუპირებულ აფხაზეთთან ე.წ. ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის თაობაზე შეთანხმების რატიფიცირებას მხარი დაუჭირა.**

მოსკოვსა და სოხუმის მარიონეტულ რეჟიმს შორის შეთანხმებას ხელი 2015 წლის ნოემბერში მოეწერა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ჯარების გაერთიანებულ დაჯგუფებაში შევა ოკუპირებულ ტერიტორიაზე განლაგებული რუსული სამხედრო ბაზა, ასევე – ორი აფხაზური მოტომსროლელი ბატალიონი, საარტილერიო და საავიაციო ჯგუფები, აგრეთვე სპეცდანიშნულების ცალკეული ქვედანაყოფები. ე.წ. ჯარების გაერთიანებულ დაჯგუფებას რუსული სამხედრო ბაზის წარმომადგენელი უხელმძღვანელებს.

აღნიშნული ფაქტის შეფასებისას ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ამით რუსეთმა უკვე „სამართლებრივ“ ჩარჩოში გადაიყვანა ის პროცესი, რომელიც დაიწყო 2015 წელს. რუსეთმა აფხაზეთში შექმნა საკმაოდ უცნაური სამხედრო ბაზა და გააძლიერა სამხედრო დაჯგუფების სახით.

„თქვენთან საუბრისას ადრეც ვამბობდი, რომ რუსეთი საარმიო დაჯგუფებას შექმნიდა აფხაზეთში, რაც მან უკვე განახორციელა და დააკანონა კიდეც. ეს არის უსერიოზულესი დამოკლეს მახვილი საქართველოს კისერზე, რადგან, ფაქტობრივად, რუსეთს უკვე აქვს ცხინვალის რეგიონში მეოთხე ბაზა და აფხაზეთშიც მან უკვე შექმნა გაერთიანებული საარმიო დაჯგუფება. ეს ნიშნავს, რომ ამ დაჯგუფებამ შეიძლება ავტომატურად მოიცვას მთლიანი საქართველო. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ, თუ განახლდა საომარი მოქმედებები, ეს საარმიო დაჯგუფებები იქნება მთავარი ეპიცენტრი, რომელიც განახორციელებს საქართველოს ოკუპაციას და შეცვლის პოლიტიკურ ხელისუფლებას, თუკი ამას რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა გადაწყვეტს“, – აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ.

მისივე განმარტებით, სამწუხაროა, რომ აფხაზეთის მიმართ ყურადღება

მოვადუნეთ და აფხაზეთი გაქრა საქართველოს რადარებიდან. ეს წინა ხელისუფლების ბრალია, რადგან მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ მილიტარისტული და რევანშისტული პოლიტიკის წყალობით მთლიანად ჩაშალა ყოველგვარი კავშირი აფხაზეთთან, ხოლო ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ ხელისუფლების პირობებში აფხაზეთის თემა საერთოდ იყო ამოვარდნილი ქართული პოლიტიკური ნარატივიდან. სამინისტრო, რომელიც პაატა ზაქარეიშვილის ხელმძღვანელობით არსებობდა, რას აკეთებდა, ალბათ, თვითონაც არ იცოდა. ჟენევის ფორმატს კი ჰქონდა ფორმალური ხასიათი და ისეთი ადამიანები იყვნენ ჩართული ამ პროცესში, რომლებმაც აფხაზეთის თემა არ იცოდნენ.

„არაკომპეტენტური ხალხის გაგზავნა მოლაპარაკების პერიოდში და ამ პროცესის კონსერვაცია ჩვენი ბრალია. რუსეთმა ეს ფაქტი კარგად გამოიყენა, მთლიანად აითვისა აფხაზეთის ველი და აფხაზეთი საქართველოზე საგარეო პოლიტიკური ზეწოლის კონტექსტში გამოიყენა. შემთხვევით არ არის, რომ რუსეთის სათათბირომ ამ შეთანხმების რატიფიცირება საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას დაამთხვია. ეს ერთგვარი მესიჯია საქართველოს მიმართ. რამდენიმე ხანში ჩვენ ვნახავთ, რომ ეს სამხედრო ბაზა გადაიქცევა 15-ათასიან საარმიო დაჯგუფებად. ამ შეთანხმებას აფხაზეთში მოწინააღმდეგე არ ეყოლება, რადგან აფხაზეთის როგორც ოპოზიცია, ისე მმართველი პოლიტიკური ძალა შეთანხმებული არიან რუსეთთან თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე. აფხაზებს აფრთხობთ, რომ „ნაცმოძრაობა“ ჯერ კიდევ არსებობს საქართველოს პოლიტიკურ საზოგადოებაში. მათ არ აქვთ გარანტია, რომ „ნაცმოძრაობა“ მეორეჯერ არ მოვა ხელისუფლებაში და არ დაიწყებს სამხედრო რიტორიკით საუბარს აფხაზებთან. ამიტომაც აფხაზები შეეცდებიან, პრორუსული მიმართულება გაიმყარონ. თუ ჩვენ არ დავამშვიდეთ აფხაზები და უშუალოდ არ გავედით დე ფაქტო ხელისუფლებასთან პირდაპირ კავშირებზე, არაფერი გამოვა“.

„სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ აფხაზეთთან ე.წ. ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის რატიფიცირებით რუსეთი მთელი მსოფლიოს დასანახავად კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ საქართველოს პატრონი არ ჰყავს. უფრო მეტიც, მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნების დროს პოლიტიკურ პარტიებს შორის არ იყო არც კონსენსუსი, არც კამათი აფხაზეთის თემის შესახებ, თითქოს ჩვენ ტერიტორიებოკუპირებული ქვეყანა არ ვიყოთ. მისი თქმით, თუ ამ თემას წინა პლანზე არ წამოვწევთ და დასავლეთს ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხში მხარს არ ავუბამთ, ეს იქნება პირდაპირი მინიშნება, რომ რუსეთის მხარეზე ვართ. ეს იქნება მტკიცება იმისა, რომ ჩვენ არ ვართ პროდასავლელები და იმის გამო, რომ დასავლეთი ფულს გვაძლევს, მას წინააღმდეგობას ვერ ვუწევთ.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

◎ ᲠᲐᲡ ᲬᲔᲠᲔᲜ, ᲠᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲖᲔ

ᲓᲘᲢᲔᲠ ᲑᲝᲓᲔᲜᲘ: ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲔᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ

ᲒᲐᲔᲠᲝᲡ **გენერალური მდივნის ყოფილი სპეცწარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში, პოტსდამის უნივერსიტეტის პროფესორი ᲓᲘᲢᲔᲠ ᲑᲝᲓᲔᲜᲘ გერმანულ ფონდ „ბერგჰოფის“ მიწვევით აფხაზეთში ჩავიდა. 2001 წელს მან კონფლიქტის მოგვარების საკუთარი ხედვა წარმოადგინა, თუმცა მაშინ დოკუმენტი სახელწოდებით „ბოდენის გეგმა“ არც ქართული მხარისთვის აღმოჩნდა მისაღები და არც აფხაზურისთვის. „Эхо Кавказа“–სთვის მიცემულ ინტერვიუში ყოფილმა დიპლომატმა განაცხადა, რომ „ყველაფერი უნდა გაკეთდეს ევროპასთან აფხაზეთის უფრო ცოცხალი ურთიერთობების აღსადგენად“. „ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ“ ამ ინტერვიუს ქართულ თარგმანს გთავაზობთ:**

– ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲑᲝᲓᲔᲜ, გვიამბეთ აფხაზეთში თქვენი ვიზიტის მიზანზე.

– ამჯერად აფხაზეთში ფონდ „ბერგჰოფის“ მოწვევით ვარ. სიამოვნებით ჩამოვედი, რათა მონაწილეობა მიმეღო „ბიოგრაფიულ სალონში“. შარშანაც ვიყავი აქ. და ჩემთვის საინტერესოა, ქალაქის განვითარებას ვადევნო თვალი: როგორ შენდება, საერთოდ როგორ ნორმალიზდება ცხოვრება აფხაზეთში. მე, რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა. ადრე დილით ზღვაში ჩავედი. ჩემთვის ახლაც ძალიან სასიამოვნოა მეგობრებთან შეხვედრა.

– თუ შეხვდით რომელიმე აფხაზ პოლიტიკოსს ამ ვიზიტის ფარგლებში?

– ყოველ ჯერზე მაქვს მსგავსი შეხვედრები. ამჯერად აფხაზეთში მხოლოდ ამ მიზეზით ვარ. რა თქმა უნდა, შევხვდი მეგობრებს, რათა უკეთ გამეგო ქვეყანაში არსებული ვითარება. ეს ძალზე მნიშვნელოვან ინ-

ფორმაციას მაძლევს. სახლში, გერმანიაში აფხაზეთის შესახებ ინფორმაციის აშკარა ნაკლებობაა. და როცა დავბრუნდები, შევეცდები ჩემიანების ინფორმირებას.

– როგორ აფასებთ აფხაზეთის ირგვლივ საერთაშორისო ვითარებას?

– უნდა აღინიშნოს, რომ იყო მწვავე კონფლიქტი, იყო ომი 90-იანებში. ახლაც, მეჩვენება, რომ საომარი მოქმედებები არ არის, აღარ არის ინციდენტები კონფლიქტის ზონაში, თუმცა ეს მაინც არასაკმარისია. სიტუაცია მთლად ნორმალური არ არის. როდესაც ენგურს ვკვეთ, ვხედავ, რომ იქ რაღაც არანორმალური ვითარებაა. ეს მოითხოვს მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის შემდგომ ძალისხმევას, რათა როგორმე ნორმალურად მოგვარდეს. აფხაზეთი გარკვეულ იზოლაციაში იმყოფება. მე მაინც ვფიქრობ, რომ აფხაზები ჩვენთვის ახლო ხალხია, ევროპელებია, ევროპას ეკუთვნის და ყველაფერი უნდა გაკეთდეს ევროპასთან მისი ცოცხალი ურთიერთობების აღსადგენად. ჩვენ ვიცით, რომ ეს პოლიტიკური პრობლემაა. აქ ყველამ უნდა შეიტანოს საკუთარი წვლილი, რათა უფრო ნორმალურ სიტუაციამდე მივიდეთ.

– როგორ შეაფასებდით ევროკავშირის როლს რეგიონში, კერძოდ აფხაზეთში? რისი გაკეთებაა შესაძლებელი იმ იზოლაციის მოსახსნელად, რომელშიც ამჟამად აფხაზეთი იმყოფება?

– დიახ, ევროპა დაკავებულია ამ საკითხით, დაკავებულია სხვადასხვა ასპექტებში. იქ თავის როლს თამაშობს სავიზო ტიპის ტექნიკური პრობლემები – გზა უნდა გაიხსნას. ჩემი აზრით, ევროპელებიც გრძნობენ გარკვეულ ვალდებულებას, გამოიჩინონ ძალისხმევა. ვფიქრობ, ყველა მოწოდებულია სამოქმედოდ.

– არ გქონიათ სურვილი, კვლავ შუამავალი გამხდარიყავით კონფლიქტის მოგვარებაში?

– ვფიქრობ, იმის გამეორება, რაც უკვე იყო, გამორიცხულია. საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლები შუამავლის როლი.... ამის მეორედ გაკეთებას არ ვისურვებდი, ეს საკმარისია. მე მსურს, ვიყო ნაწილი იმ ძალისხმევის, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები, ცალკეული ქვეყნები, არასამთავრობო ორგანიზაციები სწევენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. არ ვფიქრობ, რომ ეს გარკვეულ ნებაზეა დამოკიდებული. შეიძლება, ბევრ რამეზე იფიქრო, თუმცა გაიმეორო ის, რაც უკვე იყო, ჩემთვის არასწორი იქნებოდა. სამომავლოდაც შევიტანო აქტიური წვლილი – ესაა ჩემი სურვილი, რა თქმა უნდა.

ekhokavkaza.com

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲗᲠᲝᲨᲘ ᲣᲪᲜᲝᲑᲛᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲛᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲘᲙᲚᲐ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ **ტელევიზიის შენობაზე თავდასხმა განხორციელდა. ამის შესახებ ინტერნეტ-პორტალი „აიაირა“ იტყობინება. დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრის ასლან კობახიას ინფორმაციით, ტელევიზიის ტერიტორიაზე უცნობი მამაკაცი შეიჭრა და თვითნაკეთი ბომბი მოქმედებაში მოიყვანა. აფეთქების შედეგად ის ადგილზე დაიღუპა.**

ᲒᲘᲕᲘ ᲗᲐᲠᲒᲐᲛᲐᲫᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ **ერთ-ერთი ლიდერის გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების საქმეზე შსს-მ ერთი პირი, 1976 წელს დაბადებული ბ.ჩ. დააკავა. კიდევ ერთ პირს, 1974 წელს დაბადებულ დ.ხ. ბრალი დაუსწრებლად წარედგინა.**

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თეა პერტაიამ აღნიშნა, შსს-მა დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის მე-19 და 109-ე მუხლებით, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს. აღნიშნული საქმე გახსნილია.

მისივე თქმით, მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, სხვადასხვა ტერიტორიაზე ერთდროულად განხორციელდა იდენტიფიცირებული პირის და მასთან დაკავშრებული პირების ბინების ჩხრეკა. ამოღებულია იარაღი.

„რუსეთს გონებით ვერ განსჯი“...

სირიულ ალეპოში ძალიან მნიშვნელოვანი კვანძი იკვრება, რომელმაც, თითქოსდა, იმ სტატუსამდე და სტადიამდე უნდა მიიყვანოს რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობა, რის შემდეგაც გადამჭრელი ზომები დასავლეთის მხრიდან უკვე გარდაუვალი იქნება: რუსული ავიაცია უმოწყალოდ ბომბავს ალეპოს, „ლენინგრადის“ მსგავს საზარელ ბლოკადას უწყობს უზარმაზარ ქალაქს; ხოლო ამას წინათ ისეთი რამ ჩაიდინა, რისი მსგავსიც არ ახსოვს თანამედროვე მსოფლიოს: გაეროს უშიშროების საბჭოს წევრმა სახელმწიფომ... მიზანმიმართულად გაანადგურა გაეროს ჰუმანიტარული კოლონა, დახოცა გაეროს ოფიციალური წარმომადგენლები!

თუ იურიდიულად მივუდგებით საკითხს (ან კი სხვა რა მიდგომა შეიძლება არსებობდეს, როდესაც საქმე ეხება სამართალს ზოგადად და საერთაშორისო სამართალს კონკრეტულად?) მოსკოვმა ჩაიდინა საზარელი სამხედრო დანაშაული, რისთვისაც გათვალისწინებულია ჰაგის საერთაშორისო ტრიბუნალი.

იგივე ტრიბუნალი სრულიად რელევანტური იქნებოდა „მალაიზიური ბოინგის“ ჩამოგდების ქეისშიც, რადგან როგორც უტყუარად დაამტკიცა ინტერნაციონალურმა გამოძიებამ ასეულობით მტკიცებულებაზე დაყრდნობით, საზენიტო დანადგარი „ბუკი“ სწორედ რუსეთიდან შევიდა უკრაინის ტერიტორიაზე, გასროლა განახორციელეს რუსეთის არმიის მოქმედმა ოფიცრებმა; ანუ, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში, მინიმუმ რუსეთის თავდაცვის მინისტრი უნდა გადაეცეს ჰაგის ტრიბუნალს. თუმცა, საერთაშორისო ტრადიციით, „კაცობრიობის წინააღმდეგ“ ჩადენილ ამ მასშტაბის კრიმინალზე პირველი პირები აგებენ ხოლმე პასუხს. ოღონდ, ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე პატარა სერბიას ეხება. მაგრამ როცა საქმე ეხება რუსეთს, ამ შემთხვევაში, როგორც აღმოჩნდა... რუსულად ასე ჟღერს: „Кишка у вас тонка!“

* * *

პუტინმა ეს ყოველივე შესანიშნავად იცის, ანუ იცის, რომ, თუ ერთი „ძარღვიანი კახური“ გამოთქმის პერიფრაზს მოვიშველიებთ, „ყურებზე ხახვსაც ვერ დააჭრიან“. ამიტომ მხოლოდ აძლიერებს წნეხს: აგზავნის სირიაში ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს C-300 და C-400, იმუქრება ამერიკული თვითმფრინავების ჩამოგდებით; აგრძელებს ალეპოს ბარბაროსულ დაბომბვებს; ფაქტობრივად, აანონსებს, რომ ჰუმანიტარულ კოლონებს კვლავ გაანადგურებს, თუ ისინი ალეპოს ბლოკადის დარღვევას ეცდებიან, ესე იგი უბედურ ადამიანებს სარჩოს მიაწვდიან და ა.შ და ა.შ.

სამხედრო თვალსაზრისით, მარტო უახლესი ამერიკული ავიამზიდი „ჯორჯ ბუში“, რომელიც იქვე, ხმელთაშუა ზღვაშია დისლოცირებული, იმდენად აღემატება ყველაფერს ერთად აღებულს, რაც კი რუსეთს აქვს სირიაში, „რამე რომ იყოს“ ლუკმად არ ეყოფა ეგ რუსული კონტინგენტი მთელი მისი შეიარაღებით. მაგრამ... ანეკდოტისა არ იყოს, „გამაადგა რო?“

როგორც ვხედავთ, „კიბერომსაც“ კი უგებს პუტინის რუსეთი ობამას ამერიკას! ამაზე მეტი სიგიჟე გაგონილა? ინტერნეტიც ამერიკული გენიის შექმნილია, კომპიუტერიც, „ეფლ-უოჩიც“ და საერთოდ ყველაფერი, რასაც პუტინის ზესაიდუმლო „უკაზით“ 2002 წელს შექმნილი „საინფორმაციო ჯარები“ იყენებენ ამერიკის წინააღმდეგ. მაინც უგებენ. მოდი და ნუ „გაცოფდები“ მართლა! არადა, ღილაკზე ერთი თითის დაჭერა უნდა (ეს „ღილაკი“ მხოლოდ ამერიკაში მდებარეობს!) და რუსეთი საერთოდ მოწყდება გლობალურ ქსელს, თუმცა... ძირძველი ქართული სიტყვა „მთხლე“ იცით რას ნიშნავს? აი, ამას ნიშნავს!

როგორ დასცინის პუტინი დასავლეთს

არ არსებობს დასავლეთში პოლიტიკური ნება, არ არსებობს „ლიდერშიპი“: ამერიკაში გრძელდება უკვე მართლა მარაზმად ქცეული საარჩევნო კამპანია და არ დაიჯეროთ, თითქოს თუ „ჰილარი“ მოვა ხელისუფლებაში, რამეს განსაკუთრებულს გააკეთებს რუსეთის მიმართ.

სინამდვილეში, კლინტონი დღეს ახმოვანებს ხმამაღალ ანტირუსულ მესიჯებს, რაკი რეალური და კონკრეტული პასუხისმგებლობა არ ეკისრება, მაგრამ როგორც კი დაეკისრება, გარწმუნებთ, სულ სხვაგვარად აჭიკჭიკდება. დაახლოებით ისე, როგორც ულურტულებდა, როცა სახელმწიფო მდივანი იყო და ლავროვს ყველგან ყველაფერი დაუთმო.

იმიტომ, რომ დასავლეთის სისუსტე, სინამდვილეში, ბევრად ღრმა სისტემური მიზეზებითაა გამოწვეული და მხოლოდ „ლიდერშიპზეც“ არ დაიყვანება!

პუტინმა ეს იცის; ამიტომ, უკვე აშკარად დასცინის დასავლეთს. ესე იგი, არა მხოლოდ გამაოგნებლად თავხედურ ნაბიჯებს დგამს, არამედ პირდაპირ, ჟარგონით თუ ვიტყვით „აჩმორებს“ საჯაროდ.

* * *

დავიწყოთ პირველით: რუსეთის პრეზიდენტმა ბრძანა ე.წ. „კალინინგრადის ოლქში“ (ისტორიულ კიონიგსბერგში, სადაც კანტი განისვენებს) „ისკანდერის“ რაკეტების დაყენება. „ისკანდერი“ მხოლოდ და მხოლოდ „თავდასხმითი“ სამხედრო საშუალებაა და თავდაცვასთან საერთო არაფერი აქვს.

მოკლედ აღვწეროთ, რას წარმოადგენს ეს საზარელი იარაღი: ფორმალურად მისი სიშორე 500 კილომეტრია, თუმცა სპეციალისტებმა იციან, რომ სულ იოლად შეიძლება გაიზარდოს კიდევ რამდენიმე ასეული კილომეტრით. თანაც მისი საბრძოლო ნაწილი სრულიად შესაძლებელია აღიჭურვოს ბირთვული მუხტითაც.

„ისკანდერი“ ჯერ 50 კილომეტრზე ადის სტრატოსფეროში, შემდეგ „გაფანტული ტრაექტორიით“ ეშვება ზებგერითი სისწრაფით ისე, რომ მისი ჩამოგდება თვით სახელგანთქმულ ამერიკულ ანტისარაკეტო „პეტრიოტსაც“ არ ძალუძს.

„ისკანდერის“ სიზუსტე 5-10 მეტრის ცდომილებაა: სწორედ ეს რაკეტა ესროლეს რუსებმა გორს დაღესტნის მთებიდან 2008 წლის 12 აგვისტოს და ქალაქის ცენტრალურ მოედანზე აფეთქდა. ამასთან დაკავშირებით, რუსული „გენშტაბის“ წარმომადგენელს ამერიკელმა ჟურნალისტმა ჰკითხა მაშინდელი ყოველდღიური პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ: „არც ისე ზუსტი ყოფილა ეს თქვენი „ისკანდერი“, რაკი ქალაქის ცენტრში დაეცა და არა გორის ქართულ სამხედრო ბაზაზეო“, რაზეც რუსი სალდაფონებისთვის ჩვეული, შხამიანად-ირონიული პასუხი მიიღო: „მერედა ვინ გითხრათ, რომ სამხედრო ბაზას ვუმიზნებდით?!“

... თუ გავითვალისწინებთ „მიგრანტთა კრიზისს“ (დიდწილად ესეც პუტინის პროვოცირებულია) და გერმანული ელიტების ნიშანდობლივ რეაქციას ამ კრიზისზე, სამწუხაროდ, ჯერ სასიკეთო გარდატეხის არანაირი სიმპტომი არ ჩანს.

კალინინგრადიდან „ისკანდერი“ სულ იოლად მისწვდება არა მხოლოდ ვარშავას, არამედ ბერლინს! ამით პუტინი დასავლელ პარტნიორებს მიანიშნებს, რომ სავსებით შეიძლება გავიდეს „საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების შეზღუდვის“ („სნსრშ“) ეპოქალური შეთანხმებიდან, რომელიც რონალდ რეიგანმა და მიხეილ გორბაჩოვმა გააფორმეს შორეულ 1988 წელს.

ორი კვირის წინათ კი, პუტინმა ამერიკას შეურაცხმყოფელი ულტიმატუმი წაუყენა: „იმაზე უარესი თუ არ გინდათ, რასაც უკრაინასა და სირიაში ვაკეთებ (იგულისხმებოდა, თუ არ გინდათ „სნსრშ“-დან გამოვიდეო, რასაც, სხვათა შორის, შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს — **ნ.ი.**), აღმოსავლეთ ევროპიდან ჯარები გაიყვანეთო.

წარმოგიდგენიათ?

მართლა ძნელად თუ წარმოედგინა ვინმეს, მაგრამ „გასდის“. და რაკი „გასდის“, უკვე არათუ „ისკანდერებს“ აყენებს კალინინგრადში, არამედ პირდაპირ, დაუფარავად დასცინის კიდეც დასავლეთს!

მაგალითად, **საფრანგეთმა უარი განაცხადა რუსეთისათვის გადაეცა „მისტრალის“ უახლესი ვერტმფრენმზიდი — უკრაინაში კრემლის აგრესიის გამო. შემდეგ ეს ვერტმფრენმზიდი პარიზმა ეგვიპტეს მიჰყიდა, ხოლო რუსეთს, ჯარიმის სახით, თითქმის მილიარდი ევრო გადაუხადა.**

ახლა კი ირკვევა, რომ ეგვიპტის პრეზიდენტი გენერალი ასისი თურმე მზადაა, „მისტრალი“ ისევ რუსეთს გადასცეს სიმბოლურ ფასად — 1 დოლარად — ოღონდ კი მოსკოვმა რუსი ტურისტები დააბრუნოს ეგვიპტეში! უკვე მისია და ვისი რა საქმეა ვის გადასცემს?

შედეგად, რუსეთი იღებს უახლეს, მაღალტექნოლოგიურ იარაღს სრულიად უფასოდ, რაკი ფრანგებმა უზარმაზარი ჯარიმა გადაუხადეს!!!

ყველაზე სასაცილო ისაა, რომ, როგორც ჩანს, ეს კომბინაცია პუტინს თავიდანვე ასე ჰქონდა ჩაფიქრებული: ჯარიმაც მიიღო საფრანგეთისგან და, საბოლოოდ, „მისტრალიც“.

როგორია?

* * *

ალბათ, მოვიდა დრო ვაღიაროთ, რომ პუტინი ძალიან ჭკვიანი, ცბიერი და ნიჭიერი პოლიტიკოსია! ზოგადად, საბჭოთა კგბ-ში უნიჭო ადამიანები არ მუშაობდნენ. მით უმეტეს მნიშვნელოვან პოზიციებზე. კი ბატონო, არამზადები იყვნენ, გარეწრები იყვნენ და ა.შ. მაგრამ უნიჭოები — არასოდეს! მით უმეტეს მნიშვნელოვან პოზიციებზე. ხოლო ვლადიმერ პუტინი იყო კგბ-ს რეზიდენტი დრეზდენში! დრეზდენში, ესე იგი აღმოსავლეთ გერმანიაში, ანუ ე.წ. „გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“, რომელიც მაშინ მოსკოვის აბსოლუტური პრიორიტეტი იყო. ამაზე დიდი პრიორიტეტი იმ ეპოქაში კრემლს არც ჰქონია.

ყველაზე საზარელი კი ისაა, რომ, ბოლოს და ბოლოს, პუტინის კგბ-შნიკურ ნიჭიერებასა და ცბიერებაში კი არ არის საქმე, არამედ დასავლეთის სისტემურ სისუსტეში, რაც ამ ბოლო 10 წლის კრიზისებმა (მათ შორის, 2008 წლის ომმა) მკაფიოდ დაადასტურა. ამიტომ, ისევ და ისევ, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ „ლიდერშიპზე“, სანამ ეს სისტემური პრობლემა იარსებებს, ევროპა დარჩება ისეთივე კომიკურ და თავლაფდასხმულ სიტუაციაში, როგორშიც იმყოფება უკრაინისა და სირიის პრობლემებთან დაკავშირებით.

ამერიკის პრეზიდენტის არჩევა, ვინც და როგორიც არ უნდა აირჩიონ 2016 ან 2020 წელს, ამ საქმეს ვერ უშველის. სისტემური პრობლემის დაძლევა მხოლოდ სისტემური ცვლილებებითვეა შესაძლებელი. ამგვარი რეფორმისთვის კი აუცილებელია არა უბრალოდ „ლიდერშიპი“, არამედ ბევრად უფრო ღრმა სისტემური ძვრა: უპირველესად, დიდი გერმანელი ერი, ბოლოს და ბოლოს, უნდა გათავისუფლდეს ისტორიული კომპლექსისგან, რომელიც მას მანიაკმა, პარანოიკმა შიკლგრუბერმა შესძინა!

... მაგრამ თუ გავითვალისწინებთ „მიგრანტთა კრიზისს“ (დიდწილად ესეც პუტინის პროვოცირებულია) და გერმანული ელიტების ნიშანდობლივ რეაქციას ამ კრიზისზე, სამწუხაროდ, ჯერ სასიკეთო გარდატეხის არანაირი სიმპტომი არ ჩანს.

ნიკა იმნაიშვილი

საავტომობილო ნომერი 9 მლნ დოლარად

არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, დუბაიში მცხოვრებმა წარმოშობით ინდოელმა ბიზნესმენმა „ლამაზ“ საავტომობილო ნომერში საკმაოდ რეკორდული თანხა გადაიხადა. არაბული მედიის ინფორმაციით, ბიზნესმენმა ნომერში - D5 არც მეტი არც ნაკლები 9 მლნ დოლარი გადაიხადა.

კომპანია RSG International-ის მფლობელმა ბალვინდერ სახინმა აღნიშნული ნომერი ერთ-ერთ აუქციონზე იყიდა. როგორც ბიზნესმენმა აღნიშნა, მას მოსწონს და უყვარს მსგავსი ნომრების შეგროვება და ერთგვარი კოლექციის მფლობელიცაა.

პარიზში ერთნაირსქესიანთა ქორწინებას აპროტესტებენ

საფრანგეთის დედაქალაქში მასშტაბური საპროტესტო მსვლელობები გაიმართა. ათასობით აქტივისტმა ერთნაირსქესიანთა ქორწინება და ხელოვნური განაყოფიერება გააპროტესტა. აქციას ეროვნული ფრონტის წევრებიც შეუერთდნენ, თუმცა მათ ლიდერს მარინ ლე პენს მსვლელობებში მონაწილეობა არ მიუღია. მანიფესტაცია გაერთიანება „დემონსტრაცია ყველასათვის“ მიერ იყო ორგანიზებული.

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

◎ შემოქახილი აჭარიდან

ქართველო, ფეხზე დადექი!

ვერაფრით ვეღარ ჩავაქრე
ცეცხლი, რომელიც წამკიდე,
რას შვრები, ცოტა ჩქარა ქენ,
ცოტა ჩქარა ქენ და კიდევ,

მადლობა უფალს შესწირე,
მისგან უფრო მეტს მოველით,
მამულში არ გვსურს მეწილე,
უცხო და უცხოტომელი.

გვეძახის ჩვენი ვენახი,
ჭირს მტრის და მოყვარის გარჩევა,
წინაპრის სისხლი გვეძახის,
მამულის გადასარჩენად.

შორიდან ხელსაც გვიქნევენ,
აღარას ვამბობ დანარჩენს.
მე ჯანდაბაში ვიქნები,
ოღონდ მამული გადარჩეს.

საფლავშიც ხმალი უჭირავს,
პატარა კახის მარჯვენას.
ქუდზე კაცია საჭირო,
მამულის გადასარჩენად.

ნასედკოვები, ბანძები
და ელგებეტეს ჩმორები,
ვაჟა-ფშაველას ლანძღავენ,
გაუგონარი ჭორებით.

სისინებს გველის წიწილი,
კართან მომდგარან გველები,
წამოდგებიან მიწიდან,
ცხრა ძმა და არაგველები.

და ცა ფირუზის დარები,
შავმა ღრუბელმა დაფარა,
აკაკი გვემუდარება,
მისი დაფი და ნაღარა.

„ახალგაზრდებო, აწკი, თქვენ,
გამოდით, თქვენი ჭირიმე,“
სახელი ბრძოლით გაითქვით,
ხელში აიღეთ ხირიმი.

საფლავში ბორგავს ილია,
ქართველებს კლავენ ბუზივით,
თბილისი გაძეძგილია,
გრანტიჭამია ბოზებით.

ქართველო, რა დაგიძვირე,
ფეტვი გგონია ხორბალი,
მე კი არ უნდა მძიძგნიდე,
მტერს უნდა დურთო კომბალი.

ცხოვრება როცა გართულდა,
მტერს ხმლით დახვედრა ხომ უნდა,
მტერი მომდგარა ბათუმთან,
სამაჩაბლოსთან, სოხუმთან.

ამინდი წახდა და კიდევ,
თუ კი მოდიხარ, ჩქარა ქენ,
შენ რომ მე ცეცხლი წამკიდე,
ვერაფრით ვეღარ ჩავაქრე.

ეს ჩვენი ჰავა ჯანმრთელი,
რად გინდა, მტერს
თუ დარჩება?!
ფეხზე დადექი, ქართველო,
მამულის გადასარჩენად!



შოთა ზოიძე.
ბათუმი

სასაცილო, საწყენი და გასახარი

1. რუსთაველიდან უსუფაშვილამდე,

ანუ რესპუბლიკელთა დაცემა და ვე(ღარ) ამაღლება

ზუსტ ციტატებს ნუ მომთხოვთ (მათთვის მეტისმეტი პატივი იქნება), ფაქტების არსს კი არ დავამახინჯებ.

გავიხსენოთ, რას ამბობდა **უსუფაშვილ-ხიდაშელის** რესპუბლიკური წყვილი აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით – საქართველოს შემადგენლობაში არ განვიხილავთო(?!);

გავიხსენოთ, როგორ გვეუბნებოდა უსუფაშვილი, მე შვილებს ქვეყნისთვის არ ვზრდიო(?!);

გავიხსენოთ, როგორ აცხადებდა ხიდაშელი, **ერთი სული მაქვს, როდის მოვაშორებ ჩემს შვილებს ამ საგიჟეთსო** – ქვეყანას, საქართველოს გულისხმობდა(?!);

წინასაარჩევნო კლიპში კი თითოეულ ჩვენგანს წარბშეუხრელად მოგვმართავდა(აქ უკვე უზუსტესი ციტატაა):

„შენ და მე ერთნაირად გვაღელვებს ჩვენი შვილების ბედი“(?!);

გავიხსენოთ, რას უწინასწარმეტყველებდა **ლევან ბერძენიშვილი** პოლიტიკაში ახლად შესულ **ბიძინა ივანიშვილს** – ექვსი მილიარდი ბოლომდე რომ დახარჯოს, ხმების შვიდ პროცენტზე მეტს მაინც ვერ მიიღებსო(?!);

გავიხსენოთ, მერე როგორ ურცხვად ჩაჯდა გამარჯვებული „ოცნების“ ნავში(?!);

გავიხსენოთ, როგორ ამაყობდნენ ბიძინა ივანიშვილის თანაგუნდელობით, თანამოაზრეობითა და თანამებრძოლობით უსუფაშვილი და მისი თანამეცხედრე;

ეს – მანამდე, ვიდრე ერთი პარლამენტის თავმჯდომარე იყო, მეორე – თავდაცვის მინისტრი.

გადადგომიდან ორი საათის შემდეგ კი ლანძღვა დაუწყეს.

არჩევნებში დამარცხებული რესპუბი კი ჭკუიდან სულ მთლად გადავიდნენ.

ამ მხრივ გამორჩეული, რა თქმა უნდა, ლევან ბერძენიშვილია – ოღონდ ალაპარაკე და თანაც ვინმე ალანძღვინე!

არა, ქებაც ეხერხება, ზღვარგადასულიც კი, ოღონდ, თუ საკუთარი პარტიის ლიდერზე მეტყველებს.

წაიკითხეთ ჟურნალი **„სარკე“(№41)** და ლანძღვა-ქებაში მის უკიდეგანო შესაძლებლობებს დაინახავთ.

ასპარეზიც ხომ კარგად შეურჩევია – ჟურნალი, სადაც უსაგნო ლაყბობას, ჭორების გვერდით, დიდი გასავალი აქვს.

ბერძენიშვილსაც მეტი რა უნდა, ჯერ იმას „გვიმტკიცებს“, რომ **„უსუფაშვილის დონის პოლიტიკოსი ქვეყანას არ ჰყავს“**(?!), რომ უჭირს, წარმოიდგინოს, **„პარლამენტის მსოფლიო დონის თავმჯდომარის მერე ვინ დაიკავებს ამ ადგილს“(?!)**...

შეიცხადეთ?

ჯერ სადა ხართ?

მთავარი წინაა.

აი, როგორ გვამუნათებს ბერძენიშვილი ქართველებს, რომლებმაც უსუფაშვილსა და მის რესპუბლიკელებს ხმა არ მივეცით:

„ილია ჭავჭავაძე რომ არ მოსწონთ, რუსთაველი რომ არ მოსწონთ, ბარათაშვილი და უსუფაშვილი, ეს ის ხალხია“(?!)...

აი, ასე! თურმე, როგორ დავცემულვართ ქართველები – რუსთაველიდან უსუფაშვილამდე!

გეფიცებით შვილებს და სამშობლოს, ილია ჭავჭავაძე მაინც რომ არ ეხსენებინა, ხმას არ ამოვიღებდი!

აი, ამასაც კი კადრულობს, ილიაზე აუგის თქმით სახელგანთქმული (ჰეროსტრატესავით!) რესპი აქეთ გვედავება, ილია არ მოგწონთო(?!).

ასეთი მოლაყბისაგან რაღა უნდა გაგიკვირდეს და მით უფრო გეწყინოს, მაგრამ აღშფოთებას მაინც ვერ დამალავ, როცა მის ბაგეთაგან გადმოსულ წარმოუდგენელ ბოღმას იხილავ: **„სამარცხვინოა, რომ რუსთაველის და ბარათაშვილის მშობელი ხალხი აღმოჩნდა ამ პრიმიტიული პოლიტიკური ცხოველის მართვის ობიექტი.“**

ხომ ადვილად მიხვდით, ვისაც გულისხმობს?

ახია ბიძინა ივანიშვილზე, ეს ურეიტინგოები რომ ზურგზე აიკიდა!

რომელი ბიოლოგიური ცხოველი უნდა იყო, გუშინდელი (ორი კვირის წინანდელი) თანაგუნდელი ასე რომ მოიხსენიო?!

არადა, გონებაში ყოველთვის ლუარსაბს ვადარებდი ხოლმე.

ამასთან შედარებით, თათქარიძე კაცია!

ლუარსაბსა და დარეჯანს ვერც უსუფაშვილ-ხიდაშელის რესპულ წყვილს შევადრი: რასაც ესენი ახლა კადრულობენ, ისინი ამას უთუოდ ითაკილებდნენ...

P. S. შესაძლოა, ბევრმა მითხრას, ეს ყოველივე სასაცილო კი არა, სატირალიაო. ვერ დავეთანხმები. უფრო ზუსტად, სატირალი თვითონ რესპებისთვისაა, მათ გამო კი რუსთაველისა და ბარათაშვილის მშობელ ხალხს ნამდვილად ვერ ავატირებ...

2. რუსთაველიდან გალაკტიონამდე,

ანუ იუბილეზე დავიწყებული... იუბილარები

სამიოდე თვის წინათ წამოვაყენე ასეთი იდეა: რადგან ცალ-ცალკე გადახდა ვერ ხერხდებოდა, იქნებ ერთად მაინც აღგვენიშნა ქართული პოეზიის სამი უდიდესი მნათობის – **რუსთაველის, ვაჟასა და გალაკტიონის** იუბილეები(850, 155, 125). სახელწოდებაც შერჩეული მქონდა: „რუსთაველიდან გალაკტიონამდე“...

ბევრმა მითხრა, იდეა შესანიშნავია, მაგრამ ძნელად განსახორციელებელიო (ეს რომ ვიცოდი, სწორედ ამიტომ მივმართავდი ბიძინა ივანიშვილს)...

აი, დედოფლისწყაროელებს ძნელად სულაც არ მოსჩვენებიათ.

პირიქით, საქმე ძალიან ადვილად მოუგვარებიათ: დღისით, მზისით გაუმართავთ საღამო, რომელზეც საპატიო სტუმრად მიუწვევიათ ქალბატონი ინესა მერაბიშვილი; უჩვენებიათ დოკუმენტური ფილმი ,,ინესა მერაბიშვილი“; წაუკითხავთ გალაკტიონის ლექსები, ბოლოს ფორტეპიანოზეც დაუკრავთ. შოთა და ვაჟა არც კი უხსენებიათ. არადა, საღამოს ასე რქმევია: ,,,რუსთაველიდან გალაკტიონამდე.“

ეს ყველაფერი ,,საქართველოს რესპუბლიკამ“ გვამცნო (გაზეთი, რა თქმა უნდა, არაფერ შუაშია)...

მოკლედ:

იდეა მომპარეს!

სათაური მომპარეს!

არც კი მახსენეს!

საღამოზეც არ დამპატიჟეს...

თუმცა, მე კი არა, სამიდან ორი იუბილარი დაავიწყდათ(?!).

P. S. რა საოცარია:

მოეწყოთ შეხვედრა ქალბატონ ინესასთან -რატომ არ შეიძლებოდა, ანდა ვინ დაუშლიდათ?!

რა შუაში იყო ქართული პოეზიის სამი მნათობი?!

განსაკუთრებით – ორი?!

3. ორბელიანიდან ჯავახიშვილამდე,

ანუ რევაზ სირაძის ნათელი კვალი

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ, **როსტომ ჩხეიძის** თავკაცობით, ტრადიციული „სამშაბათობების“ ახალი სეზონი **ივანე ჯავახიშვილის** უნივერსიტეტში დაიწყო.

ალექსანდრე ორბელიანი ივანე ჯავახიშვილთან მივიდა!

იქნებ ეს ჩვენი ალმა მატერისთვის ძველი დიდების დაბრუნების ნიშანი იყოს.

ვინ იცის...

...პირველი თავყრილობა **რევაზ სირაძეს** ეძღვნება –ჭეშმარიტ უნივერსიტეტელს, მის ერთ-ერთ მშვენებას, ვინც ამ კედლებში ღირსეულად იღვაწა და ვისაც ავბედით „ნაციონალურ“ ხანაში უღირსად მოექცნენ – დიდი რუდუნებით დაარსებული კათედრა გაუუქმეს, მოკლედ, „ჩარეცხეს“.

უბედური შემთხვევა რომ არა, ოთხმოცი წლის მეცნიერი თავადვე იხილავდა, თუ მაინც როგორ ვერ მიიჩქმალა გამორჩეული ღვაწლი და რა სიყვარულს გამოხატავენ მისი კოლეგები, მეგობრები, შეგირდები, სხვა სფეროთა წარმომადგენლები...

თავყრილობის საბაბი კი არის მეცნიერის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნი **„ხატადქმნილი სიტყვა“,** რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება – „განსჯანი“ და მოგონებანი (რედაქტორი – **გიორგი ალიბეგაშვილი,** პასუხისმგებელი მდივანი – **ლია კარიჭაშვილი**).

მოგონებებს აქაც მოვისმენთ, ოღონდ, მას შემდეგ, რაც ხსენებულ წიგნს მომხსენებლები – **გოჩა კუჭუხიძე, ოქტაი ქაზუმოვი** და **ნათია სადღობელაშვილი** დაწვრილებით მიმოიხილავენ.

მოგონებებით გამოვლენ **ლაურა გრიგოლაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, ემზარ კვიტაიშვილი, ნინო ვახანია, ნანა კუცია, ნანა გონჯილაშვილი...**

„რეზო ჩემგან არ წასულა, ის ჩემშია, მე სავსე ვარ რეზოთი“, – იტყვის **მანანა გიგინეიშვილი** და, ალბათ, ყველა იქ მყოფი გავიფიქრებთ, რომ ის არც ჩვენგან წასულა, ჩვენშიც ცოცხლობს...

გასაოცარ ამბავს მოგვიყვება **ელიზბარ ჯაველიძე** იმის მისანიშნებლად, თუ საიდან მოდიოდა რეზო სირაძის მაღალი ზნეობა: მამა ადრე დაეღუპა და დედამ ობლობაში გაზარდა. ერთხელ, უკვე დიდები, რესტორანში სადილობას გადაწყვეტენ. რეზოს დედაც ახლავს. ქალბატონ ასმათს ვერაფრით დაითანხმებენ – ქვრივი ქალი ვარ და არ შეიძლებაო.

მეუღლე უკვე 50 წლის გარდაცვლილი ჰყავდაო, – დასძინა ბატონმა ელიზბარმა.

ერთი საღამო მარტო ამის მოსასმენად ღირდა.

და **გალაკტიონი** რის გალაკტიონია, თავი ყველგან რომ არ შეგვახსენოს. იქნებ სწორედ აქ არის მისი განსაცვიფრებელი მეტაფორის ახსნა: **„და არ მშორდება ღვთისმშობლის მზერა სავსე ქართული პატიოსნებით“...**

ვიდრე თუნდაც ერთი ასეთი ქვრივი იარსებებს, ნამდვილი საქართველოც არ მოკვდება.

ასეთ საქართველოს კი რეზო სირაძის ფასიც ყოველთვის ეცოდინება...

P. S. „ნაშთი ძველი დიდებისა არ გამქრალა ჯერაც ყველა“...

იოსებ ჟუმბურიძე

ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲔᲚᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲤᲘᲚᲘᲡᲘᲪ“ ᲘᲧᲝ...

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ თბილისობის უდავოდ მთავარი მოვლენა სადღესასწაულო ცენტრის — აღმაშენებლის პროსპექტის აღმოსავლეთ ნაწილის „ახალი ტფილისის“ საფეხმავლო ზონის უკვე ცნობილ ტრადიციულ ადგილებთან — ევროპის მოედანი, ტოლერანტობის სკვერი, ორთაჭალაში ჰ. ალიევის სკვერი და მის მიმდებარე ტერიტორიებთან შემატება იყო, სადაც უამრავი ღონისძიება გაიმართა. მათ სათითაოდ ჩამოთვლას არ მოვყვებით იმ მარტივი მიზეზით, რომ თითოეულს უამრავი თბილისელი, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან თუ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმარი დაესწრო, რომელთა რიცხოვნობა და ნანახით აღფრთოვანება განსაკუთრებით თვალში საცემი იყო.

— ძალიან გაგვიმართლა, რომ ასეთი არაჩვეულებრივი სადღესასწაულო სანახაობის მომსწრენი და, რაც მთავარია, მისი მონაწილენი გავხდით, რომლის მსგავსი მსოფლიოს არც ერთ სხვა ქვეყანაში არ გვინახავს, — გერმანელ ტურისტთა ერთი ოჯახის წევრთა ეს აზრი თვალნათლივ ასახავს თბილისობის მიმართ სხვა უცხოელი სტუმრების დამოკიდებულებას დღესასწაულისადმი.

რა არ იყო გამოტანილი ამ ორ დღეში სადღესასწაულო თავშეყრის ადგილებში გასაყიდად: ჭურჭელი, ხალიჩები, ალკოჰოლიანი სასმელები — ცნობილი მარკების კონიაკები, სხვადასხვა არაყი და სახელოვანი ღვინოები, ფელამუში, ჩურჩხელები, ყველი, თაფლი, ხილ-ბოსტნეული, ყვავილები, დეკორატიული მცენარეები, ჩვენებური პურმარილის ტრადიციული მენიუს კერძები...

გაიმართა უამრავი კონცერტი და სხვადასხვა სახეობაში სპორტული შეჯიბრი, სხვა სახის კულტურული ღონისძიება. განსაკუთრებით სახალისო კი უამრავი რამ, ცხადია, ჩვენი პატარა თანამოქალაქეებისა და მათი თანატოლი სტუმართათვის იყო, რომელთა გასართობად ორგანიზატორებმა უზადო ფანტაზია და ნიჭი გამოავლინეს.

თბილისობის დღესასწაულის ღირსეული დამაგვირგვინებელი აკორდი უდავოდ რიყეზე დედაქალაქისადმი მიძღვნილი მუსიკისა და სიმღერების დიდი კონცერტი გახლდათ, რომელზეც ყველასათვის ცნობილი და საყვარელი სიმღერები ჩვენმა სახელოვანმა მომღერლებმა ახალი არანჟირებით შეასრულეს. მანამდე კი ამ მათლაც რომ გამორჩეული დღეების უდავო გვირგვინი „საპატიო თბილისელის“ წოდების მინიჭება გახლდათ, რომლებსაც სათანადო დიპლომები დედაქალაქის მერმა **დავით ნარმანიამ** გადასცა. მათ შორის, ვისი განსაკუთრებული ღვაწლი ქვეყნისა და დედაქალაქის წინაშე წლეულს აღინიშნა, გახლავან: ექიმები **ლევან ჭაჭიაშვილი** და **გელა მუხაშავრია,** ფეხბურთელი **ალექსანდრე ჩივაძე,** მსახიობები **ლალი ბადურაშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი** და **თამარ სხირტლაძე,** ხელოვნების მოღვაწე **ჯემალ ჭკუასელი,** ლოტბარი და მომღერალი **რობერტ გოგოლაშვილი,** მოცეკვავე და ქორეოგრაფი **ფრიდონ სულაბერიძე,** მევიოლინე და დირიჟორი **ლიანა ისაკაძე,** აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე,** მხატვარი **დიმიტრი ერისთავი,** ასევე მხატვარი, მწერალი, თეატრისა და კინოს რეჟისორი **რევაზ გაბრიაძე.**

ამ ჩინებულ ტრადიციას საფუძველი ჯერ კიდევ შორეული 1979 წლის 28 ოქტომბერს ჩაეყარა და ამ ხნის მანძილზე ჩვენს უამრავ ღირსეულ თანამოქალაქეს მიეგო საქვეყნო აღიარების ეს უდავოდ გამორჩეული ნიშანი და, ეჭვი არ არის, მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

ᲝᲗᲐᲠ ᲤᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ,
ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ



◎ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ ᲡᲔᲡᲮᲘ

ᲤᲠᲘᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲡᲐᲤᲐᲜᲒᲨᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲔᲑᲐᲗ!

ᲛᲗᲔᲚᲘ საქართველოს მასშტაბით 4 მილიონი ონლაინ სესხია გაცემული, რაც წარმოუდგენლად დიდი მაჩვენებელია. ეს იმის ფონზე, როდესაც საქართველოში ბოლო აღწერის მიხედვით, 3 730 000 ადამიანი ცხოვრობს და აქედან ყველა ზრდასრული არ არის. ონლაინ სესხების უმეტესობა კი 65 წელს ზემოთ არ გაიცემა და მას ვერც არასრულწლოვანი მოქალაქეები იღებენ. გამოდის, რომ დაახლოებით 2,5 მლნ ადამიანზე ზემოთ აღნიშნული ოდენობის ონლაინ კრედიტი მოდის.

ერთი შეხედვით, სწრაფი სესხი ნორმალური დადებითი მოვლენაა, ორგანიზაცია მოქალაქეს სესხის აღებას უადვილებს, რაც მას ლოკალურად წარმოქმნილი პრობლემის მოგვარებაში ეხმარება. სინამდვილეში კი, მსესხებელი ხაფანგში ებმება და იქიდან თავის დაღწევა ხანდახან შეუძლებელიც კი ხდება.

საქმე ის არის, რომ ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციებში თანხის გადახდის ვადა, ძირითადად, ერთი თვეა და თუკი მსესხებელი ფულს დროზე ვერ გადაიხდის, პრობლემაები სწორედ მაშინ იწყება: სესხის დაბრუნება 2-3 თვით

რომ გადაავადოს, 500 ლარის ნაცვლად, შეიძლება 1500 ლარის შეტანა მოუხდეს. სწრაფი სესხის პროცენტიც და პირგასამტეხლოც არის ძალიან მაღალი და ოდნავაც არ შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ ნორმებსა და მოთხოვნებს.

ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ წარმომადგენლის განცხადებით, ზუსტი მონაცემები, თუ რამდენი მომხმარებელი ჰყავთ ონლაინ სესხების კომპანიებს, არ არსებობს.

„ამის განსაზღვრა რთულია. შესაძლებელია ერთ ადამიანს ორი წლის განმავლობაში 100 სესხი ჰქონდეს აღებული. ჩვენ არ ვიცით, რამდენი მომხმარებელი ჰყავთ მათ, არ ვიცით, რა არის მათი სასესხო პორტფელი, ვადაგადაცილების მაჩვენებელი. ვიცით, რომ გაცემული სესხების დაახლოებით 7-10 პროცენტი იყო ნეგატიური სტატუსის მქონე. სტატისტიკაზე საუბარი ცოტა რთულია“, — აღნიშნა „ბიპიენთან“ საუბრისას ფინანსურმა ანალიტიკოსმა ანი ალიბეგაშვილმა. მისი თქმით, ცუდია, როდესაც არ არსებობს სტატისტიკა ონლაინ სესხების მომხმარებლების, მათი პორტფელების, დაფარული და უიმედო სესხების შესახებ, რომლებიც ამოღებას აღარ ექვემდებარება. ბიზნესი უნდა იყოს გამჭვირვალე და უნდა ვიცოდეთ, თუ რა ტიპის რეგულაციები მოაგვარებს პრობლემებს.

ონლაინ-საკრედიტო ორგანიზაციების მუშაობას ქვეყანაში არც ერთი კანონი არ არეგულირებს, შესაბამისად, მათ საქმიანობაში სრული თავისუფლება ენიჭებათ. თითოეულ მათგანს შეუძლია, საკუთარი სურვილისამებრ დააწესოს საპროცენტო განაკვეთი, რაც ხშირად გაუაზრებლად მაღალ ნიშნულს აღწევს.

განვითარებულ ქვეყნებში მსგავსი ტიპის საკრედიტო ორგანიზაციები მკაცრი რეგულაციების ქვეშ არიან. მაგალითად, ლიტვასა და ლატვიაში მათზე ზედამხედველობას ეროვნული ბანკი ახორციელებს.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲛᲬᲕᲔᲓ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲝ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲝ!

ᲒᲣᲨᲘᲜ საქართველოში ვეტერანის დღე აღინიშნა.

ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა და პრეზიდენტის მრჩეველმა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელებთან და თანამშრომლებთან ერთად დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს და გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს. გმირთა მოედანზე შეკრებილ ვეტერანებს და დაღუპული ვეტერანების ოჯახის წევრებს ვეტერანის დღე მიულოცეს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘ ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲨᲘ

ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲘᲡ რაიონში მიტინგის ქუჩა №1-ში ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი აშენდა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ თემურ თორდინავასთან ერთად გახსნა.

საბავშვო ბაღში 11 ჯგუფი შეიქმნა, მთლიანობაში კი, ბაღი 400-მდე ბავშვის სკოლამდელი განათლებით უზრუნველყოფას შეძლებს. შენობა და მიმდებარე ტერიტორია ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. ბაგა-ბაღის ეზოში განთავსებულია რამდენიმე სათამაშო და გასართობი მოედანი. ბაღი ყოფილი №79 ბაღის ტერიტორიაზე აშენდა, რომელიც 2011 წელს ავარიულობის გამო დაიხურა, აღსაზრდელები კი, ამ დრომდე, №7 საჯარო სკოლის შენობაში დადიოდნენ. განახლებულ ბაღში 65-მდე ადამიანი დასაქმდა. №79 საბავშვო ბაგა-ბაღი მეშვიდე ბაღია, რომელიც დედაქალაქს მიმდინარე წელს შეემატა.

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲨᲘ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲩᲐᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲧᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ ქალაქ ქობულეთში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტის განხორციელების შედეგად ქობულეთში ჩამდინარე წყლები პერმანენტულად გაიწმინდება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ქალაქის მიმდებარე წყალსატევებში გაუწმენდავი წყლის მოხვედრას. ეს კი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ზღვისპირა კურორტ ქობულეთის სანაპირო ზოლის წყლის ხარისხს და ხელს შეუწყობს საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას. სამუშაოებზე, რომლის საერთო ღირებულება 5 867 300 ლარია, 20-მდე ადგილობრივია დასაქმებული. პროექტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ჰოლანდიის მთავრობისა და აჭარის მთავრობის თანადაფინანსებით ხორციელდება.



მზისა და ვარდების მხარე ცენტრალური პარკის გარეშე,

ანუ თბილისი ერთადერთი ევროპული დედაქალაქია, რომელსაც მთავარი რეკრეაციული ზონა არ გააჩნია

ვაკის პარკი, მუშტაიდის ბაღი, 9 აპრილის პარკი, მთაწმინდის პარკი – ეს რეკრეაციული ზონების ის მცირე ჩამონათვალია, რომლებიც თბილისში მდებარეობს და სადაც თბილ დღეებში ძალიან ბევრ ადამიანს ნახავთ. თუმცა 1,2-მილიონიანი თბილისისთვის პატარა სკვერები საკმარისი ნამდვილად არ არის. ამიტომაც, უკვე რამდენიმე წელია, თბილისელები ცენტრალური პარკის გაშენებას ითხოვენ, თუმცა ამაოდ.

თბილისს ცენტრალური პარკი ნამდვილად სჭირდება, ეს არის საზოგადოების დაკვეთა და მისი შესრულება ხელისუფლების ერთ-ერთი უპირველესი ვალდებულება და მოვალეობაა. თუმცა დედაქალაქის ვერც ერთმა მთავრობამ ამის გაკეთება ვერ შეძლო. იყო დაპირება, თუმცა მისი რეალობაში განხორციელება დღემდე ვერ მოხერხდა. დედაქალაქისთვის კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ასეთი პარკის არსებობა, ამიტომ საჭიროა, რომ ქალაქის ხელისუფლებამ ცენტრალური პარკის მოსაწყობად ტერიტორია მოიძიოს და თანაც, რაც შეიძლება სწრაფად.

ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების მმართველობის დროს ქალაქის ცენტრალური პარკის მოწყობა მზიურისა და ზოოპარკის ტერიტორიაზე იგეგმებოდა, მაშინ ისიც ითქვა, რომ პარკის განაშენიანება 2012 წლისთვის დაიწყებოდა, თუმცა შემდგომ აღნიშნული ტერიტორიის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილზე მშენებლობის ნებართვა გაიცა და დღეს იქ რეკრეაციული ზონა მინიმუმამდეა შემცირებული.

2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის შემდეგ რიგითმა თბილისელებმა ცენტრალური პარკის გაშენება ვერეს ხეობაში მოითხოვეს. დაიწყეს ხელმოწერების შეგროვებაც, გამართეს რამდენიმე აქცია, თუმცა მათი მოთხოვნა არც დედაქალაქის მერიამ და არც ცენტრალურმა ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა.

ახლა კი თბილისელებს ცენტრალური პარკის გაშენება საბურთალოზე, ძველი იპოდრომის ტერიტორიაზე სურთ. რამდენიმე კვირის წინ სოციალურ ქსელში სპეციალური პეტიციაც კი გავრცელდა ასეთი მოწოდებით – **„მე მინდა, თბილისის ყოფილი იპოდრომი გახდეს „თბილისის ცენტრალური პარკი“, ეს ქალაქი ჩვენია!!!“**.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, თუ რას აპირებს ამ მიმართულებით თბილისის მთავრობა და საერთოდ, იგეგმება თუ არა დედაქალაქში ცენტრალური პარკის მოწყობა. როგორც მერიაში გვითხრეს, იპოდრომის ტერიტორია კერძო საკუთრებაა და იქ ცენტრალური პარკის მოწყობა შეუძლებელია. რაც შეეხება სხვა ტერიტორიას, მერიაში არც ამაზე ჰქონდათ კონკრეტული პასუხი. ქალაქის მუნიციპალიტეტში მხოლოდ ის გვითხრეს, რომ „ ამ ეტაპზე ეს საკითხი არ განიხილება“.

„მწვანეთა პარტიის“ წევრი, დეპუტატი **გია გაჩეჩილაძე** „კომერსანტთან“ საუბრისას ამბობს, რომ თბილისს არა მარტო ცენტრალური პარკი, არამედ პატარა სკვერებიც უდა ჰქონდეს. ამის არგუმენტად ბრიტანული მოდელი მოჰყავს, სადაც განსაზღვრულია, თუ რა მანძილით უნდა იყოს რეკრეაციული ზონა დასახლებული პუნქტიდან დაშორებული.

„ჩვენ რომ ცენტრალური პარკი საბურთალოზე გავაკეთოთ, გლდანიდან ბავშვების სასეირნოდ ცენტრში ხომ არ გამოვა ადამიანი? ამიტომ, კარგი იქნება, თუ თბილისს ექნება როგორც ცენტრალური პარკი, ასევე ყველა უბანში იქნება რეკრეაციული ზონა – პატარა სკვერები და ბაღები“, – აღნიშნა გაჩეჩილაძემ.

მხატვარი **გია ბუღაძე** ამბობს, რომ თბილისს ცენტრალური პარკი ნამდვილად სჭირდება. მისივე თქმით, თავის დროზე ჩაფიქრებული იყო, რომ „ალექსანდრეს ბაღი“ იქნებოდა ქალაქის ცენტრალური პარკი, მაგრამ მერე ვნახეთ, თუ რა სიტუაციაში აღმოჩნდა ეს პარკი.: **„შემდგომ ეს ფუნქცია უნდა აეღო მთაწმინდას, მაგრამ ესეც ვერ და არ მოხდა, შემდგომ საუბარი იყო ვაკის პარკზე, მაგრამ ეს იდეაც ვერ განხორციელდა და დღეს რეალურად თბილისი ამ მხრივ უმძიმეს მდგომარეობაშია. გამოსავალს ვერ ვხედავ და ვერც წარმომიდგენია, რომ დღეს ან უახლოეს წლებში თბილისს ცენტრალური პარკი ექნება. ამის სურვილი ხელისუფლებას არა აქვს, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს“,** – აღნიშნა ბუღაძემ.

არქიტექტორი **ლადო ვარდოსანიძეც** თვლის, რომ თბილისს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ცენტრალური პარკი: **„დღეს ასეთ პარკად ვაკის პარკი კი მოიაზრება, მაგრამ მან ბევრი თვისება დაკარგა. საერთოდ, თბილისს რაც უფრო მეტი პარკი და სკვერი ექნება, კარგი იქნება. ცენტრალური პარკი კი აუცილებელია“,** – განაცხადა ლადო ვარდოსანიძემ.

მისივე თქმით, თავის დროზე იყო საუბარი, რომ ცენტრალური პარკი რიყის ტერიტორიაზე გაშენებულიყო, თუმცა ეს ვერ მოხერხდა. რაც შეეხება იპოდრომის ყოფილ ტერიტორიას, ვარდოსანიძის თქმით, კარგი იქნებოდა, რომ ცენტრალური პარკი იქ გაშენებულიყო: **„მართალია, იპოდრომის ყოფილი ტერიტორია ახლა კერძო საკუთრებაა, მაგრამ გამოსყიდვაც შეიძლება. თავის დროზე, ნიუ-იორკის ცენტრალური პარკის ტერიტორიის დიდი ნაწილიც კერძო საკუთრება იყო და ქალაქის მთავრობამ გამოისყიდა. ჩვენს შემთხვევაში ეს როგორ მოხდება, არ ვიცი, მაგრამ ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა“,** – განუცხადა „კომერსანტს“ ვარდოსანიძემ.

თბილისს რომ ცენტრალური პარკი უნდა ჰქონდეს, პოეტი **დავით მაღრაძეც** ეთანხმება, თუმცა კონკრეტულ ადგილს, თუ სად უნდა გაშენდეს ასეთი რეკრეაციული ზონა, ვერ ასახელებს: **„თბილისს ნამდვილად სჭირდება ცენტრალური პარკი და კარგი იქნება, თუ ასეთი ადგილი გვექნება“,** – ამბობს მაღრაძე.

ქვემოთ გთავაზობთ ევროპის კონტინენტის რამდენიმე ქვეყნის დედაქალაქში გაშენებულ ცენტრალურ პარკებს.

● **ბერლინის ცენტრალური პარკი,** სადაც ზოოპარკის ტერიტორიაც შედის, ქალაქის ცენტრში მდებარეობს და ის 210 ჰექტარზეა გადაჭიმული „ცუოლოგიშე გართენ“ ბერლინელებისა და მისი სტუმრებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი დასასვენებელი და გასართობი ადგილია.

● **ლონდონის ჰაიდ-პარკი** ქალაქის ცენტრში მდებარეობს. ეს არის ერთ-ერთი უდიდესი პარკი, რომელიც ლონდონის სამეფო პარკადაა მიჩნეული. იგი ორადაა გაყოფილი. პარკი ესაზღვრება კენსინგტონის. ჰაიდ პარკს უჭირავს 142 ჰექტარი ტერიტორია და კენსინგტონის ბაღებს უჭირავს 111 ჰექტარი, რაც მთლიანად 253 ჰექტარს შეადგენს. სამხრეთ-აღმოსავლეთით, პარკის გარეთ, მდებარეობს ჰაიდ პარკის კუთხე. მიუხედავად იმისა, რომ ორი პარკი შეუმჩნევლად ერწყმის ერთმანეთს, კენსინგტონის პარკები იხურება შებინდებისას, მაგრამ ჰაიდ პარკი ღია რჩება მთელი წლის მანძილზე დილის 5 საათიდან შუაღამემდე.

● **ბუენ რეტიროს პარკი ესპანეთის დედაქალაქის,** მადრიდის ცენტრალურ ნაწილშია და ის 120 ჰექტარზეა გადაჭიმული. რეტიროს უზარმაზარ პარკში მოწყობილია სხვადასხვა გზა, ხეივანი, რამდენიმე შადრევანი (მათ შორის დაცემული ანგელოზის), დგას უნიკალური თაბაშირის ქანდაკებები, ტურისტებში განსაკუთრებით პოპულარულია დეკორატიული ნაწილი, მოწყობილია ღია კაფეები, ქუჩის მუსიკოსები დიდებულად ასრულებენ ძირითადად ესპანურ და ფრანგულ მელოდიებს. რეტიროს პარკს რამდენიმე შესასვლელი აქვს და შესაბამისად, პარკში მოხვედრა ქალაქის სხვადასხვა მხრიდან მარტივად არის შესაძლებელი.

● **ვილა ადა, ყველაზე დიდი რეკრეაციული ზონაა იტალიის** დედაქალაქ რომში, რომელიც 182 ჰექტარზეა გადაჭიმული და ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. სიდიდით მეორე პარკია ვილა ბორგესი, რომელსაც 80 ჰექტარი უჭირავს.

● ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ცენტრალური პარკი უნგრეთის დედაქალაქშია. ბუდაპეშტის მთავარი პარკი – **ვაროშლოგეტი** 120 ჰექტარზეა გადაჭიმული. იქ განლაგებულია სეჩენის აბანო, ვაიდაჰუნიადის სასახლე, ზოოპარკი, ცირკი, გასართობი პარკი და განთქმული რესტორანი „გუნდელი“. სეჩენის აბანო ევროპაში ყველაზე დიდია, აგებულია ნეობაროკოს სტილში და წყალს ორი განსხვავებული თბილი მინერალური წყაროსგან იღებს.

● **როიალ ლაჟენიკი** – ასე ეწოდება პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში მდებარე ცენტრალური პარკს. ის ქალაქის ყველაზე დიდი რეკრეაციული ზონაა, მდებარეობს ვარშავის ცენტრში და გადაჭიმულია 76 ჰექტარზე.

● დასასვენებელი და გასართობი პარკების სიმრავლით გამოირჩევა რუსეთის დედაქალაქი **მოსკოვი**. იქ საშუალო და დიდი ზომის დაახლოებით 35 პარკია. ერთ-ერთი ყველაზე დიდი, გორკის სახელობის ცენტრალური პარკია, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და 219,7 ჰექტარზეა გადაჭიმული. აღნიშნულ ტერიტორიაზე გარდა რეკრეაციული ზონისა, რამდენიმე ათეული გასართობი, დასასვენებელი და კვების ობიექტია განთავსებული.

● რაც შეეხება მსოფლიოს სხვა ქვეყნებს, ცენტრალური პარკი ყველა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაშია. ცენტრალური პარკია ბრაზილიაში, ჩინეთში, იაპონიაში, ავსტრალიაში დ ა.შ. ყველაზე დიდი კი თავისი მასშტაბით არის **ნიუ-იორკის ცენტრალური პარკი,** რომელიც 341 ჰექტარზეა გადაჭიმული. მას ყოველწლიურად დაახლოებით 25 მილიონი ადამიანი სტუმრობს. პარკი ნიუ-იორკ სიტის პარკებისა და რეკრეაციის დეპარტამენტის დაქვემდებარებაშია. პარკის პროექტი ეკუთვნის ფრედერიკ ლოუ ოლმსტედსა და კალვერტ ვოქსს, რომელმაც მოგვიანებით ასევე შექმნა ბრუკლინის პროსპექტ-პარკი.

მიუხედავად იმისა, რომ პარკის უმეტესი ნაწილი ბუნებრივად გამოიყურება, ის, ფაქტობრივად, მთლიანად ხელოვნურად არის შექმნილი და შეიცავს რამდენიმე ხელოვნურ ტბას, საცალფეხო ბილიკებს, ორ საციგურაო მოედანს, საცხოველესა და მინდვრებს სხვადასხვა სპორტული დანიშნულებისთვის და ბავშვების სათამაშოდ. პარკი პოპულარული ოაზისია მიგრაციული ფრინველებისთვის, და შესაბამისად პოპულარულია ფრინველთა მოთვალთვალეთათვისაც. 10 კმ სიგრძის ველოსიპედის ბილიკი პარკის პერიმეტრზე პოპულარულია მორბენალთა, ველოსიპედისტთა და სკეიტერებისთვის, განსაკუთრებით უქმე დღეებში და საღამოს 7-ის შემდეგ, როდესაც საავტომობილო მოძრაობა იზღუდება.

რაც შეეხება თბილისს, ის ევროპის და არა მარტო ევროპის ერთადერთი დედაქალაქია, რომელსაც ცენტრალური პარკი არ გააჩნია.

არადა, ცენტრალური პარკის გაშენება არ არის ერთი ადამიანის ან ადამიანთა ერთი ჯგუფის მოთხოვნა, ეს არის საკითხი, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას. ვთვლით, რომ მერიამ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა თბილისს მთავარი პარკი ჰქონდეს. ეს არის ხალხის დაკვეთა და მისი შესრულება სწორედ რომ „არჩეულების“ მოვალეობაა.

ვახტანგ თბილელი
„კომერსანტი“

◎ პატივგება

ღირსეულთ - ღირსეულთაგან

ახლახან ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი შოტოკან კარატე-დოში „ბათუმი ოუფენ 2016“. რომელიც ქალთა და ვაჟთა შორის 6 ასაკობრივ ჯგუფში ინდივიდუალურ და გუნდურ ჯგუფებში გაიმართა. ბათუმის ღია პირველობაში 5 ქვეყნის 100-მდე მონაწილე იყო ჩართული. იგი მსოფლიოსა და საქართველოს შოტოკან კარატე დო-ს ფედერაციების ორგანიზებითა და ბათუმის მერიის ფინანსური

მხარდაჭერით მოეწყო და მისი სულისჩამდგმელი გახლდათ საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, შავი ქამრისა და მე-7 დანის მფლობელი ნოდარ ხაჯიშვილი. აღსანიშნავია, რომ სპეციალურად ამ ჩემპიონატისთვის იაპონიიდან ჩამოვიდა მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორი, ლეგენდარული ჰიტოში კასუია.

2017 წლის აგვისტოში ტოკიოში მსოფლიო ჩემპიონატია დანიშნული. ხოლო მანამდე საქართველო უმასპინძლებს შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო ჩემპიონატსა და ფესტივალს შოტოკან კარატე-დოში. მათი ორგანიზატორები იქნებიან მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაცია და საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია.

ჩვენს სამშობლოში საბრძოლო ხელოვნებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორს, კარატეს იაპონელ დიდოსტატს ჰიტოში კასუიას და საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, ღირსეულ მამულიშვილს ნოდარ ხაჯიშვილს გადაეცათ საქართველოს სამეფო სახლის მეთაურის მადლობის სიგელები, რაც განახორციელა საქართველოს სამეფო სახლის კანცელარიის წარმომადგენელმა მამუკა ბაგრატიონ-დავითიშვილმა.

კობა კობახიძე

◎ ნიჩბოსნობა

მიეძღვნა სვეტიცხოვლობას

გიორგი ოგბაიძე

მცხეთა-მთიანეთის **რეგიონული ოლიმპიური ორგანიზაციისა (ხელმძღვანელი თამაზ გრძელიშვილი) და მცხეთის კულტურისა და სპორტის გაერთიანების (უფროსი შორენა არჯევანიძე) ინიციატივით საქართველოს ყოფილ დედაქალაქთან მტკვარზე ნიჩბოსნობაში საერთაშორისო ტურნირი (მთავარი მსაჯი ბორის მხეიძე) გაიმართა, რომელიც სვეტიცხოვლობის დღესასწაულს მიეძღვნა. შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად სომეხი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. აკადემიურ ნიჩბოსნობაში ერთადგილიანი ნავით 500 მეტრზე მიხეილ ოვაშვილმა (მცხეთა) გაიმარჯვა (მესამე ადგილზე ერევნელი იურა ადამიანი გავიდა). ორადგილიანი ნავით პირველი ადგილი გიორგი ბოლოთაევმა და რევაზ მარტოლეკმა (მცხეთა) დაიკავეს.**

2002 წელსა და უფრო ადრე დაბადებულთა შორის 200 მეტრზე ერთადგილიანი კაიაკით (ბაიდარა) გიორგი ოგბაიძემ (მცხეთა) და სალომე ჯიქურაულმა (დუშეთი) აჯობეს ყველას, ხოლო ორადგილიანი კაიაკით გიორგი ოგბაიძემ და გიორგი მარტოლეკმა (მცხეთა) მოიპოვეს ოქროს მედალი. ამავე დისტანციაზე ერთადგილიანი კანოეთი პირველი იყო გიორგი ბედოშვილი (დუშეთი).

2003 წელსა და უფრო გვიან დაბადებულებში ერთადგილიანი კაიაკით პირველობა არავის დაუთმო სერგო ბერიკაშვილმა, ორადგილიანი კაიაკით კი ფინიშთან პირველები იყვნენ ნიკა ჩოხელი და გიორგი ყარსიმაშვილი (დუშეთი).

გივი გაგუა
ვაჟა დანელიას ფოტო

◎ სპორტული ტანვარჯიში

ხუთი ქვეყნის მონაწილეობით

ბიძინა სიჭინავა

თბილისის ტანვარჯიშის სასახლეში საქართველოს, რუსეთის, შვედეთის, სომხეთისა და ბელარუსის სპორტულ ტანმოვარჯიშეთა მონაწილეობით საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. მედლები ორ ასაკში გათამაშდა. გოგონათა მრავალჭიდში ყველას რუსმა ალექსანდრა შეკოლდინამ აჯობა (51.958), ხოლო მეორე-მესამე ადგილებზე შვედები — ლორა ქინდვალი (48.550) და სესილია ვრანგდალი (46,991) გავიდნენ. უფროსებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ლილია ახაიამოვა (რუსეთი, 54.05), 2. დარია სკრიპნიკი (რუსეთი, 53.223), 3. ალიონა მალაევა (ბელარუსი). ცალკეულ იარაღებზე პირველი ადგილები ალექსანდრა შეკოლდინამ (ხტომები, დვირი), დარია სკრიპნიკმა (ორძელი) და ლილია ახაიამოვამ (თავისუფალი ვარჯიში) დაიკავეს. გუნდური: 1. რუსეთი (109.158), 2.შვედეთი (95.541), 3. ბელარუსი (89.483), 4 საქართველო (86.483).

ვაჟებში ახალგაზრდებს შორის მრავალჭიდში 74.3 ქულით ბიძინა სიჭინავამ გაიმარჯვა. მეორე-მესამე ადგილებიც მასპინძლებს — დმიტრი გოვოროვსა (73.199) და ნიკიტა ლეტნიკოვს (72.761) ერგოთ. უფროსებში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: 1.არტურ დალალოიანი (რუსეთი, 83.216), 2. ანდრეი ჩერკასოვი (რუსეთი, 82.1). 3. ვიგჰემ ხაჩატრიანი (სომხეთი, 81.799). ცალკეულ იარაღებზეც პირველი ადგილები სტუმრებმა დაიკავეს: თავისუფალ ვარჯიშში წარმატება არტურ დალალოიანს ხვდა, ტაიჭზე პირველი იყო ვიგჰემ ხაჩატრიანი. მას მცირედით ჩამორჩა საქართველოს ნაკრების წევრი კონსტანტინ კუზოვკოვი. ხტომებში ოქროს მედალი არავის დაუთმო რუსმა დმიტრი ლანკინმა (ვერცხლი და ბრინჯაო ჩვენი ნაკრების წევრებს — დმიტრი გოვოროვსა და კონსტანტინ კუზოვკოვს ხვდათ). მან ორძელზეც დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე საბა აბესაძე გავიდა. ღერძზე ყველაზე მაღალი შეფასება ვიგჰემ ხაჩატრიანმა, რგოლებზე კი ვახაგ დავთიანმა (სომხეთი) დაიმსახურეს. ორივე სახეობაში ბრინჯაოს მედალი ბიძინა სიჭინავამ მოიპოვა. გუნდური: 1. რუსეთი (167.032), 2. სომხეთი (163.015), 3. საქართველო (154.132).

ლაშა დიდია

◎ კალათბურთი

ქართული დერბი პირენეებზე

ესპანეთის **საკალათბურთო ჩემპიონატში პირველი მარცხი იგემა „ანდორამ“, რომელსაც „ბასკონიამ“ 95:77 სძლია და სატურნირო ცხრილში დაეწია კიდეც.**

შეხვედრას თამამად შეგვიძლია ქართული წარმოდგენა ვუწოდოთ, რადგან გამორჩეულად სწორედ „ჯვაროსნებმა“ ითამაშეს: შენგელია („ბასკონია“) — 19 ქულა; შერმადინი — 15 ქულა, ბურჯანაძე — 14 ქულა („ანდორა“).

შეგახსენებთ, რომ პირენეებზე მოასპარეზე კიდევ ერთი ჩვენი ლეგიონერი ვიქტორ სანიკიძე მძიმე ტრავმას იშუშებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

ინგლისი. „სიტი“ — „ევერტონი“ 1:1, „არსენალი“ — „სუონსი“ 3:2, „ჩელსი“ — „ლესტერი“ 3:0, „ვესტ ბრომვიჩი“ — „ტოტენჰემი“ 1:1.

გერმანია. „აინტრახტი“ — „ბაიერნი“ 2:2, „დორტმუნდი“ — „ჰერტა“ 1:1, „ვოლფსბურგი“ — „ლაიფციგი“ 0:1, „ვერდერი“ — „ლევერკუზენი“ 2:1.

ესპანეთი. „ატლეტიკო“ — „გრანადა“ 7:1, „ბეტისი“ — „რეალი“ 1:6, „ბარსელონა“ — „დეპორტივო“ 4:0, „ლეგანესი“ — „სევილია“ 2:3, „ვილიარეალი“ — „სელტა“ 5:0.

იტალია. „იუვენტესი“ — „უდინეზე“ 2:1, „ნაპოლი“ — „რომა“ 1:3, „ლაციო“ — „ბოლონია“ 1:1, „კიევო“ — „მილანი“ 1:3, „ინტერი“ — „კალიარი“ 1:2.

საფრანგეთი. „ნიცა“ — „ლიონი“ 2:0, „ნანსი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 1:2, „ტულუზა“ — „მონაკო“ 3:1, „სენტ ეტიენი“ — „დიჟონი“ 1:1, „მარსელი“ — „მეცი“ 1:0.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

ბოლქვაძემ წყვილებში იყოჩაღა

მარიამ ბოლქვაძე

თბილისელმა **მარიამ ბოლქვაძემ უკრაინელ ალიონა ფომინასთან ერთად წარმატებით იასპარეზა შარმ ელ შეიხში (ეგვიპტე) გამართულ ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირის წყვილთა პაექრობებში. ქართულ-უკრაინული დუეტი, რომელიც მე-4 ნომრად იყო განთესილი, შეჯიბრებაში მეოთხედფინალიდან ჩაება და ზედიზედ სძლია უნგრელებს — ბიანკა ბეკეფისა და საბინა სლავიკოვიჩს — 6:2, 5:7, 10:3. რუსებს - ანა მორგინასა და ანასტასია პრიბილოვას — 6:2, 0:6, 10:6, გადამწყვეტ პაექრობაში კი მარიამმა და ალიონამ გვადალუპე პერესი (არგენტინა) და ჯილ ტეიჩმანი (შვეიცარია) დაჯაბნეს — 6:2, 6:3 და მთავარი პრიზი მოიპოვეს.**

ჩინურ ტიანძინში (საპრიზო ფონდი 500.000 დოლარი) ასპარეზობდა თბილისელი ოქსანა კალაშნიკოვა. იგი წყვილებში ესპანელ ლარა არუაბარენასთან ერთად ცდიდა ძალებს და ნახევარფინალსაც მიაღწია, იქ კი შუაი პენისა (ჩინეთი) და კრისტინა მაკჰეილის (აშშ) ტანდემთან დამარცხდა — 3:6, 6:3, 5:10. წაგების მიუხედავად, მათ 110-110 სარეიტინგო ქულას გამოჰკრეს ხელი.

თამაზ პატარიძე

განცხადება

2016 წლის 8 დეკემბერს, 11 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დ. მესტია, სეტის მოედანი №1) გაიმართება „ნენსკრა-ხაიში“-ს 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის 2 კმ სიგრძის მონაკვეთის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს დაახლოებით 110 კვ ძაბვის ეგხ-ს მშენებლობას, რომლის ექსპლუატაცია უზრუნველყოფს მშენებარე ნენსკრა ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სახელმწიფო ენერგოსისტემაში ჩართვას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში – დ. მესტია, სეტის მოედანი №1;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

შენიშვნები და რეკომენდაციები მიიღება განცხადების გამოქვეყნების თარიღიდან 45 დღის ვადაში.

- გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:
- ანდრო ხეთაგური. ტელ: 577232595; E-mail:khetaguria@gmail.com;
- გიორგი ბჟალავა. ტელ: 595287560; E-mail:goga@gamma.ge;

შპს „კავკასენერგო“-ს ადმინისტრაცია

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნონა შაშიკაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნონა შაშიკაძე (პ/ნ 61002019008), ბათუმი, ა. აბაშიძის ქ. №15, ბინა 54.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ბათუმი, ა. აბაშიძის ქ. №15, ბინა 54 (საკადასტრო კოდი: 05.24.07.048.01.054).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 37051.78 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 18 ოქტომბერი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 1 ნოემბერი, 15:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP35892016;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 358920

6. **მოვალე:** გიორგი აბულაძე (პ/ნ 17001000519), ბათუმი, ა. აბაშიძის ქ. №15, ბინა 54;

ნონა შაშიკაძე (პ/ნ 61002019008), ბათუმი, ა. აბაშიძის ქ. №15, ბინა 54.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP35892016; ლოტის ნომერი: 358920).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 31 ოქტომბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება

2016 წლის 8 დეკემბერს, 2 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ.გარდაბანი; აღმაშენებლის ქ.127) გაიმართება სოფ. ვაზიანის ასფალტბეტონის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საჯარო განხილვის პერიოდში დაინტერესებულ მხარეებს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციის გაცნობა შეუძლიათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „ჯი სი ჯი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გივი კარტოზიას №6, ბინა 3;
- ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის 127, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა – ცხელი ხაზი: 595 24 23 63;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 8 (95) 59 52 55; 8 (95) 28 75 60.

გახსენება

აკადემიკოსი
მალხაზ ზაალიშვილი

ბატონო მალხაზ, უკვე ორმოცი დღეა, თქვენი სავარძელი ცარიელია და ჩვენ ცრემლის გარეშე ვერ ვუყურებთ მას. თქვენ გვაძლევდით შრომის სტიმულს. მიუხედავად ასაკისა, თქვენ გარშემო მყოფთ ანცვიფრებდით შესაშური მეხსიერებით, უშრეტი ენერგიით, მეცნიერული შორსმჭვრეტელობით, ერუდიციით. ცოცხალი ენციკლოპედია და „მეცნიერების ბერმუხა“ იყავით. დიდ ქრისტიანულ დღეს, ჯვართამაღლებას იყავით დაბადებული და ეს თვისებები, ალბათ, უფალმა გიბოძათ.

მოსკოვში აკადემიკოს ენგელგარდთან საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობისას, მან შეამჩნია რა თქვენი ნიჭი, შემოგთავაზათ მასთან დარჩენა. თქვენ, როგორც თქვენი ქვეყნის მოყვარულმა ადამიანმა, უარი თქვით ამ შეთავაზებაზე და საქართველოში დაბრუნდით, სხვანაირად არც შეიძლებოდა, თქვენ ხომ დიდი მეცნიერი და მამულიშვილი იყავით. კაცის ცხოვრება წლებით კი არა, მისი დატოვებული საქმით ისაზღვრება. საქართველოში თქვენ დააარსეთ მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი და სიცოცხლის ბოლომდე ამ მიმართულებას ხელმძღვანელობდით. თქვენ გარშემო შემოიკრიბეთ არაჩვეულებრივი კოლექტივი, აღზარდეთ შესანიშნავი ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც მოღვაწეობენ არამარტო ჩვენთან, არამედ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში.

თქვენ ეწეოდით პედაგოგიურ მოღვაწეობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პირველმა იქ დანერგეთ ბიოფიზიკის მიმართულება.

1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე იყავით და თქვენი ხელმძღვანელობით დადგენილ იქნა ის სამი მომწამვლელი ნივთიერება, რომელიც გამოყენებული იყო საბჭოთა ჯარის მიერ.

ქვეყნის კეთილდღეობისა და უკეთესი მომავლისათვის გული შეგტკიოდათ და როგორც შეგეძლოთ, ისე იბრძოდით. 26 მაისს 90 წლის მეცნიერი მიტინგზე იდექით და როცა ერთმა მომიტინგემ მეორეს უთხრა წავიდეთო, მან უპასუხა, შეხედეთ აკადემიკოს ზაალიშვილს, ამ ხნის კაცი აქ დგას და ჩვენ რა უფლება გვაქვს, აქედან წავიდეთო.

ავად არასდროს არ ყოფილხართ. უცებ გულმა გიღალატათ. პირველად გული, ალბათ, მაშინ გეტკინათ, როცა იმ ავად სახსენებელ დროს, აკადემიის სხვა ინსტიტუტებთან ერთად, ჩვენი ინსტიტუტიც დაანგრიეს და გაანადგურეს. აკი თქვით კიდეც, ასე მგონია, მესამე შვილი მომიკვდაო და სამართლიანად გიპასუხეს – არა, მესამე კი არა, პირველიო. ამ ტკივილის გამოძახილი იყო თქვენი გულის გაჩერება. არაჩვეულებრივი ადამიანი იყავით და ღმერთსაც რჩეულები მიჰყავს. თქვენ წახვედით და ამით მთელი ეპოქა წავიდა.

ბატონო მალხაზ, ყველას გული დაგვწყვიტეთ. ამიტომაც წაიყოლეთ უამრავი ადამიანის ცრემლი. თქვენ სახელს დავიწყება არ უწერია, რადგან თქვენს მიერ აღზრდილი თაობები, კარგი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები დატოვეთ.

დაე, მსუბუქი იყოს თქვენთვის საქართველოს მიწა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული.

**ყოფილი მოლეკულური ბიოლოგიისა
და ბიოლოგიური ფიზიკის
ინსტიტუტის თანამშრომლები.**

სანთელი

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების წევრი, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრის დირექტორი

ჯემალ ქირია

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და მთლიანად თეატრის კოლექტივს.

ალექსანდრე ჩივაძე, რეზო სტურუა, რომან გვენცაძე, მურთაზ ხურცილავა, დემეტრე ჯაიანი, ვლადიმერ ბარქაია, გუჯა ბუბუტეიშვილი, ნოდარ ყურაშვილი, ზურა აღაიანი, ბუსკა გეწაძე, გია იმნაძე, სპარტაკ ხუნწელია თანავუგრძნობთ ღირსეულ პიროვნებას გიორგი სიჭინავას დის

ნელი სიჭინავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახის წევრებს.

გამოსვენება 17 X, 14 სთ. წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან – ს. ჩიქოვანის 14.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი

ჯემალ ქირია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ინტერნეტიდან

ხათუნა ქვრივიშვილი ამორძალად გარდაისახა

ამ რუბრიკაში ქართველი სპორტსმენების თამამი და სექსუალური ფოტოსესიების გარჩევა იშვიათად გვიწვევს, რადგან, ჯერ ერთი, ჩვენებურები თავად გაურბიან ამგვარ რამეს და მეორეც — ეს ხომ ის ქვეყანაა, სადაც სიტყვა „სექსუალურობა“ ხშირად შეურაცხმყოფლადაც კი ითვლება და აღიქმება.

ეს ერთგვარი ტრადიცია დაარღვია ამერიკაში მცხოვრებმა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელით მოასპარეზე ქართველმა მშვილდოსანმა ქალმა ხათუნა ქვრივიშვილმა, იგივე ხათუნა ლორიგმა, რომელმაც ჟურნალ ESPN-სათვის თამამ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა და ნახევრად შიშველი ამორძალის იმიჯით წარუდგა საზოგადოებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებური ხათუნა აგერ უკვე 42 წლისაა მოყრილი, მას გარეგნულად ნამდვილად არაფერი დაეწუნება და აღნაგობა ეჭვმიუტანლად სპორტსმენისა აქვს. ხათუნა ქვრივიშვილის თამამი ფოტოებით კინოპროდიუსერებიც დაინტერესებულან და არ გაგვიკვირდეთ, თუკი ამ ქალს რომელიმე ჰოლივუდურ ბლოკბასტერში ვიხილავთ.

როსტომ რაჭველიშვილი

ᲘᲧᲐᲕᲘ ᲘᲡ, ᲠᲐᲪᲐ ᲮᲐᲠ

ლამაზი მაკიაჟის გაკეთების, თმების ახალ ფრად შეღებვისა და საკუთარ გარეგნობასთან სხვა ექსპერიმენტის შედეგად ქალი, შესაძლოა... ნაკლებად მიმზიდველი გახდეს, — ეს დასკვნა ბალფასტის (ჩრდილოეთ ირლანდია) სამეფო უნივერსიტეტის მეცნიერებს ეკუთვნით.

იერსახისთვის შეუფერებელი მიხვრა-მოხვრა, წარბებისგან განსხვავებული თმის ფერი, ასევე ბუნებრივი თავისებურებების შემნიღბავი მაკიაჟი საერთო შთაბეჭდილებას აფუჭებს.

ექსპერიმენტის მსვლელობისას მოხალისეებს მოკლემეტრაჟიანი ფილმები უჩვენეს, რომლებშიც უბრალოდ ფეხით მიმავალი ხალხი იყო ასახული, თუმცა კი ისინი არა იმდენად ადამიანებს, რამდენადაც მათ სილუეტებს ხედავდნენ. მოხალისეებმა შენიშნეს: მაცდუნებელი სიარული ლამაზი ტანის მქონე ადამიანს უფრო ნაკლებად მიმზიდველს ხდიდა.

ამიტომაცაა, რომ მკვლევარები **ლამაზ ქალებს, რომლებსაც სექსუალური იერის ქონა სურთ, სიარულის შეცვლას არ ურჩევენ,** ვინაიდან ადამიანის მხედველობის სისტემა ნაკლოვანებას იმწამსვე ამჩნევს. სწორედ ამ თვისების გამო იყო, რომ ჩვენი წინაპრები ჯოგში უფრო ადვილად მოსაპოვებელ ნადავლს (ახალგაზრდა ან დაჭრილ ცხოველს) ადვილად ამჩნევდნენ (ასე მოქმედებენ თანამედროვე მტაცებელი ცხოველებიც). ამიტომაცაა, ალბათ, რომ ჩვენს ტვინს ეჩვენება, რომ არაბუნებრივი სიარულის მქონე ადამიანს რაღაც სჭირს. მეცნიერები იმასაც ვარაუდობენ, რომ იმავენაირად ტვინი გარეგნობის სხვა შეუსაბამობებზეც რეაგირებს.

ᲖᲣᲗᲮᲘ ᲒᲐᲓᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ...

ამერიკელ ბიოლოგთა გამოკვლევებით დადგინდა, რომ თუკი დიდი ზომის ზუთხის რეწვა იმავე ტემპით გაგრძელდა, როგორც დღეს მოიპოვება, მაშინ ახლო მომავალში ამ ჯიშის თევზების დიდი ეგზემპლარები გადაშენდება, მათ ადგილს კი პატარები დაიკავებენ.

დიდი ზომის მამრი ზუთხების რეწვის ინტენსივობის ზრდასთან ერთად, პატარა ზომის ეგზემპლარებს მდედრების განაყოფიერების მეტი შესაძლებლობა ეძლევათ და, შესაბამისად, თავისი გენების გავრცელების არეალი გაცილებით მეტად ეზრდებათ. იმის გამო, რომ პატარა ზუთხები დიდებისგან გენეტიკურად რამდენადმე განსხვავდებიან, შედეგად ამ ჯიშის თევზების გენეტიკური სტატუსი იცვლება. ეს კი, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ **ევოლუციის პროცესის დაჩქარების შედეგად პატარა ზუთხების ახალი სახეობა წარმოიშვება, დიდები კი გადაშენების გზას ადგანან.**

ᲗᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲗᲐᲜ...ᲫᲘᲚᲘ



რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, იაპონიაშიც კი თანამშრომლებს... ძილისთვის შესვენების უფლებას აძლევენ, ხოლო ცხელ ქვეყნებზე, სადაც ნაშუადღევის სიესტა ლამის კანონის რანგშია აყვანილი, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!

გამოკვლევებით დადგინდა, რომ 20 წუთის დღის ძილიც კი მუშაკის შრომისუნარიანობასა და ინფორმაციის ათვისების უნარს ზრდის, თანაც საგრძნობლად აფხიზლებს, რაც ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც რეაქციის სისწრაფე მოეთხოვება, ვთქვათ, მძღოლებს, დისპეტჩერებს, მასწავლებლებს. სიესტა კი ცხელ ქვეყნებში ტყუილად როდია გავრცელებული — **სიცხე სისხლში ადრენალინის შემცველობას ზრდის, ამდენად გადახურებულ ადამიანებში აგრესიულობის დონე მატულობს.** ამიტომაცაა, დღის მანძილზე მცირედი დასვენების მოსაწყობად სულაც არ არის საჭირო ლოგინში ჩაწოლა, საკმარისია სამუშაო დაგილზე ცოტა ხნით წათვლემა. დღის ხანგრძლივი ძილი კი სასურველი არ არის, რადგან ის შესაძლოა, უძილობის მიზეზი გახდეს.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲘ ᲞᲐᲜᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ

ჰონგ კონგის ზოოპარკში მსოფლიოში ყველაზე ასაკოვანი პანდა გარდაიცვალა. ცზია-ცზიას 38-ე იუბილე ივლისში გადაიხადეს, თუმცა ბოლო ორი წლის განმავლობაში ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ცზია-ცზია საკვებსაც აღარ იღებდა. რეკორდსმენი პანდა 1978 წელს სიჩუანის პროვინციაში დაიბადა. ჰონგ კონგში ის 1999 წელს გადაიყვანეს. ცზია-ცზიამ 6 შვილი გააჩინა. 4 მათგანი დღემდე ცოცხალია. პანდების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 25 წელია.

◎ ანეკდოტები

— იცოდე, კუკური, არ გამაბრაზო, თორემ თუ გავმწარდი და ჭკუაზე გადავედი, იცოდე, საშინელება გავხდები!..

— ე-ე... ისე, კაცმა რომ თქვას, არც ახლა ხარ მაინცდამაინც...

* * *

როგორც იქნა ხელფასამდე მივაღწიეთ, თან ცოტა ფულიც მოგვრჩა... ახლა ვზივართ, ვფიქრობთ, რაშია საქმე: ეკონომია ვისწავლეთ ასე კარგად თუ რამე დაგვრჩა გადასახდელი?

* * *

ᲕᲐᲫᲘ ეუბნება ქალიშვილს:

— მესმის, რომ ყველა ქალს, რომ იტყვიან, „მარილი უნდა ჰქონდეს“, მაგრამ შენ, ჩემო კარგო, აჯიკის დასამზადებლად თუ გამოდგები...

* * *

ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ, რომ ალკოჰოლი სახლში ყოველი შემთხვევისთვის მქონოდა, მაგრამ „ყოველი შემთხვევა“ მაშინვე იქმნება, როგორც სახლში ალკოჰოლი ჩნდება.

* * *

— **ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ,** კორუმპირებულებს წყალი შეუდგათო.

— კიდევ კარგი, აკვალანგები გვაქვს, თორემ დავიხრჩობოდით!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
აშშ დოლარი - 2.3537; ევრო - 2.5942;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.8670;
100 რუბლი - 3.7183; თურქული ლირა - 0.7584;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4766;
1000 სომხური დრამი - 4.9333.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +10
მთიანი რაიონები -	ღამე +0,	დღე +9
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:		
ბარი -	ღამე +4,	დღე +16
მთიანი რაიონები -	ღამე +1,	დღე +12
თბილისი:	ღამე +6,	დღე +8

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE